საერთო გაზეთი

№35 (493) • 26 სექტემბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

სალომე ზურაბიშვილს თუ არა, აბა, ვის დაუჭიროს მხარი ქართველმა ხალხმა – კაგებებეშნიკ ვაშაძეს, რუსეთთან დანა-ჩანგლით მეომარ ბაქრაძეს თუ ნარკომომხმარებელ ჯაფარას?

ირაკლი კობახიძე: (მიმართავს ნაცმოძრაობას) ...„მოგიწოდებთ, რომ სამარცხვინო კამპანია, რომელიც თქვენი მხრიდან წარიმართება ქალბატონი კანდიდატის მიმართ, ამასაც ხაზს გავუსვამ, არც კაცობა, არც არაფერი არ შეიძლება ამას ეწოდოს. ასე თქვენ ევროპასთან ვერ დაახლოვდებით და არც გაქვთ ამის სურვილი, ეს პირდაპირ ჩანს. ევროპა, ნატო და დასავლეთი ისევეა თქვენთან ახლოს, როგორც კრიალოსანი ვირთან“...

პეტრე – მიშას და გრიშას მოციქული

რას მალავს მეუფე იაკობი?

გასაიდუმლოებული ათი წელი
მეუფე იაკობის ცხოვრებიდან

საცხოვრებელი სახლებია თუ ტოქსიკური ნივთიერებებით გამოტენილი კრემატორიუმები, სადაც ნელი და მტანჯველი სიკვდილი გველოდება?

ნაციონალი შამანები და დაზომბირებული საქართველო

ნაციონალი შამანები და დაზომბირებული საქართველო

ვახტანგ ხარჩილავა:

საარჩევნო კამპანია დაიწყო და ნაციონალმა შამანებმა ხეტიალს უმატეს.

დადიან შუკა-შუკა, შარა-შარა, სოფელ-სოფელ, უბან-უბან, ქალაქ-ქალაქ და მოსახლეობის დაგოიმება-დაზომბირებას ცდილობენ — ოღონდ ჩვენო კანდიდატი აირჩიეთ პრეზიდენტად და პენსიები და ხელფასები გაგიორგამდებათ, საზღვარგარეთ წასულ ქართველებს ლეგალურად მუშაობის საშუალება მიეცემათ, გაჩნდება უამრავი სამუშაო ადგილი, ფაბრიკები და ქარხნები ამუშავდება, ქვეყანა გაიფურჩქნება და აყვავდებაო.

ნაციონალებიო, რომ ვამბობ, ამ სახელწოდების ქვეშ არამარტო ენმ-ის წევრებს ვგულისხმობ, არამედ „ევროპულ საქართველოსაც", გირჩსაც და სხვებსაც, ვინც „ნაცმოძრაობის" წისქვილზე ასხამს წყალს ღიად თუ ფარულად.

ესენი ყველანი ერთნი არიან, უბრალოდ, ფსევდონიმები აქვთ სხვადასხვა.

«Все один Х…»-ო, იტყვიან რუსები ასეთ შემთხვევაში.

რუსებს კარგი, ფრთიანი გამოთქმები აქვთ, განსაკუთრებით **Х**-სთან დაკავშირებით.

ესეც არ იყოს, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ესენი, ეს ვითომ დემოკრატები და ვითომ პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსები, თუ ყველა არა, მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც, სწორედ რომ რუსული პოლიტიკური **Х**-თი არიან გაკეთებულნი.

აბა, გრიგოლ ვაშაძეს, რუსული პოლიტიკის ბარაქიანი ძუძუთი გაზრდილს, ფაქტობრივად, რუს პოლიტიკოსს, გარეგნობითაც კი კაზაკების ატამანს რომ ჰგავს, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რომ წარადგენ, სხვა რა უნდა ვიფიქროთ?

ვინც ვაშაძეს რეკომენდაცია გაუწია და ვინც დღემდე მის ხოტბა-დიდებაშია, ისიც ხომ, ვაშაძის ტერმინს რომ დავესესხოთ, იმ „შტაბკვარწირიდან" არის, საიდანაც ვაშაძეა.

რაც ვაშაძეა, ის არის ბაქრაძეც, ოღონდ ულვაშების გარეშე და რაც არის სააკაშვილი, ის არის ბოკერია, რაც არის გრიგოლ ვაშაძე, ის არის ზურაბ ჯაფარიძეც და ა. შ. და ა. შ.

მოკლედ, ესენი, როგორც ვთქვით, ყველანი ერთნი არიან და მიზანიც ერთი აქვთ — ძალაუფლების ხელში ჩაგდება და რევანში.

რევანში კი სასტიკი, დაუნდობელი, ულმობელი იქნება.

არ ვიცი, სად, რომელ საშამანო აკადემიაში ისწავლეს ამ თახსირებმა ასე კარგად შამანობა, სად დაოსტატდნენ და სად დაეუფლნენ ჰიპნოზის, ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის, ადამიანებისთვის ტვინის გამორეცხვის ხელოვნებას, თუმცა, რაც მართალია, მართალია — ამ საქმეში ისეთი მაგრები არიან, თვით კაშპიროვსკის და აფრიკის ჯუნგლებში გაწვრთნილ შამანებსაც კი არ დაუდებენ ტოლს.

კი, ნამდვილად სხვა ვიღაცაა, თორემ, ნამდვილი სააკაშვილი, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ იტყოდა, ჩემს ცხოვრებაში ნარკოტიკები არ გამისინჯავსო. მთლად უარესი – აბა, ნარკოტიკების გარეშე იყავით ისეთი, პატივცემულო, როგორიც იყავით?!

ამათთვის საქართველო ჯუნგლებია, სადაც, მათი აზრით, გონებაშეზღუდული და გონებაჩლუნგი ტომები ცხოვრობენ, რომლებიც ადვილად შეიძლება დაარწმუნო, რომ შავი თეთრია, თეთრი — წითელი, ხოლო სააკაშვილი უცხო პლანეტიდან ჩამოფრენილი ჰუმანოიდი, რომელიც დედამიწაზე სიკეთის, კაცთმოყვარეობის და საყოველთაო ბედნიერების დასამკვიდრებლად არის მოვლენილი.

გამაოგნებელი ის არის, რომ ქართველებში, რომლებიც უძველესი ცივილიზაციის და დიდი კულტურის ერად მიიჩნევენ საკუთარ თავს, საკმაოდ მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ნაციონალი შამანების ქადაგებებს და შელოცვებს იოლად ექვემდებარებიან.

შეიძლება ცივილიზაციასთან რაიმე ჰქონდეთ საერთო იმ ადამიანებს, რომლებიც უამრავი უსასტიკესი დანაშაულის ჩამდენ „ნაცმოძრაობას" და მის ფავორიტებს უჭერენ მხარს?

შეიძლება არ მოგწონდეს „ქართული ოცნება", არ მოგწონდეს სხვა პარტიები, მაგრამ, როცა „ნაცმოძრაობა" მოგწონს და მისი შეშლილი ლიდერის ხელისუფლებაში დაბრუნება გინდა, ან ჭკუასუსტი ხარ, ან ისეთივე ბოროტი და გათახსირებული, როგორც ისინი, ვინც ასე მოგწონს.

სხვათა შორის, არჩევნები მხოლოდ პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების არჩევას არ ნიშნავს, არჩევნები ერთგვარი ლუსტრაციაა, ერთგვარი სოციოლოგიური კვლევაა იმისა, თუ რამდენი სულელი, რამდენი გიჟი, რამდენი ფარისეველი, რამდენი ნორმალური ადამიანი ცხოვრობს ქვეყანაში.

მითხარი, ვის აძლევ ხმას და გეტყვი, ვინ ხარ შენ…

28 ოქტომბერს ზუსტი მონაცემები გვექნება მოსახლეობაში არსებული ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ.

იმედია, 28 ოქტომბერს გაქარწყლდება სკეპტიკოსთა და პესიმისტთა მოსაზრებები, რომ საქართველო ქვეყანა კი არა, დიდი ფსიქიატრიული საავადმყოფოა.

მანამდე კი ტვინების გამორეცხვის საამქროს „რუსთავი-2"-ის დირექტორი **შამანი გვარამია** და მისი პოლიტიკური თანამეცხედრე **შამანკა კვესიტაძე** საქართველოს მოსახლეობას ჰიპნოზის სეანსებს უტარებენ და არწმუნებენ, რომ ქვეყნის მორალატე სალომე ზურაბიშვილია და არა ისინი, ვინც ამ ქვეყნის ტერიტორიის 20% ხონჩით მიართვა რუსებს.

სეანსების მსვლელობისას აუცილებლად ხდება მთავარი შამანის სააკაშვილის ჩართვა საზღვარგარეთიდან, რომელიც იფიცება, რომ ყველაფერი მოუგონეს, თორემ არც 25 000 კაცი გამოუკეტავს ციხეში, არც 300 000 პრობაციონერი ჰყოლია, არც არავინ უწამებიათ, არც არავინ მოუკლავთ მის დროს, არც არავინ დაუყაჩაღებიათ და, რა თქმა უნდა, არც რუსებთან გარიგებულა.

ეტყობა, ეს სხვა ვიღაცაა, სააკაშვილის ორეულია და გვარამიას ჰყავს დაქირავებული სააკაშვილის როლის სათამაშოდ.

კი, ნამდვილად სხვა ვიღაცაა, თორემ, ნამდვილი სააკაშვილი, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ იტყოდა, ჩემს ცხოვრებაში ნარკოტიკები არ გამისინჯავსო.

მთლად უარესი — აბა, ნარკოტიკების გარეშე იყავით ისეთი, პატივცემულო, როგორიც იყავით?!

●

საარჩევნო კამპანია გრძელდება — ადამიანების გამოსათაყვანებლად, ადამიანების დასაზომბირებლად მომართული ნაციონალი შამანები მთელ ქვეყანას მოსდებიან და შამანთშამანის, სააკაშვილის, სანაყში დანაყილი ჯადოებით და მის მიერვე შეთხზული შელოცვებით კიდევ ერთხელ ცდილობენ ქართველი ხალხის მონუსხვას.

ღმერთო, შენ დაგვიცავი ამ ავსულებისგან.

ფუი, ეშმაკს და არული კუდიანებს!

ჭირი იქა, ლხინი აქა!

„საერთო გაზეთი"
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სალომე ზურაბიშვილს თუ არა, აბა ვის დაუჭიროს მხარი ქართველმა ხალხმა - კაგებბეშნიკ ვაშაძეს, რუსეთთან დანა-ჩანგლით მეომარ ბაქრაძეს თუ ნარკომომხმარებელ ჯაფარას?

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტ.პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, ეკლესიის რამდენიმე წარმომადგენელი დაუპირისპირდა ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატს — სალომე ზურაბიშვილს და მისი კანდიდატურის მოხსნას ითხოვს. ამ შემთხვევაში, რასთან გვაქვს საქმე?

— ეს ნამდვილად არ არის ეკლესიის პოზიცია, პატრიარქმა ამის შესახებ თავის წერილში დააფიქსირა. „ციანიდების“ გარდა თუ

კიდევ ვინმე სხვამ გამოთქვა ასეთი პოზიცია, ეს, უბრალოდ, მხოლოდ და მხოლოდ იმ პიარის შედეგია, რომელიც საზოგადოების ფართო მასებზე ზეგავლენას ახდენს.

ინტერნეტ-სივრცეში დევს ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების პოზიციები, მათ შორის, ამერიკის ელჩის, მაკ კეინის, რომელიც „ნაციონალებს“ თავიანთ გურუდ, ღმერთად მიაჩნიათ. განა რას ამბობს განსხვავებულს ამერიკის ელჩი, მაკ კეინი ანდაც ტალიავინის დასკვნა? რატომ ამაზე არ ტეხენ „ნაცები“ ერთ ამბავს? — ისინი პირდაპირ საუბრობენ იმაზე, თუ რა როლი აქვს საკაშვილს ქვეყნის ოკუპაციაში. რა თქმა უნდა, ეს არის სწორი, ჯანსაღი პოზიცია. თუ ჩვენს პრობლემას სახელს არ დავარქმევთ, ნებისმიერ ავადმყოფს სწორ დიაგნოზს თუ არ დაუსვამთ, მისი მკურნალობა შეუძლებელი იქნება. ჩვენ, თუ არ გავიაზრებთ იმას რა დანაშაული ჩაიდინა „ნაცმოძრაობამ“ და საკაშვილმა 2008 წლის ომის დროს და ვინ არის დღეს პასუხისმგებელი ტერიტორიების დაკარგვაზე, არაფერი გვეშველება. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ საკაშვილმა, ძალაუფლების შენარჩუნებისთვის, ქართული მიწები რუსეთს გადასცა, აჩუქა. წარწერას ვერ გაუკეთებდა, ტერიტორიებს ვერ დააწერდა: სახსოვრად პუტინს მიშასგანო და ამიტომ, გააკეთა, ის რაც გააკეთა — ჩვენი ტერიტორიები რუსეთს გადასცა. თუ მკითხავთ, ამას, სალომე ზურაბიშვილი კიდევ რბილი ფორმით ამბობს. მე, უფრო მკაფიოდ და მეტსაც ვიტყოდი.

— ქალბატონო ნანა, 2008 წლის ომს წინ უძღოდა კოდორის ხეობასთან დაკავშირებული მოვლენები.

— დიახ. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2008 წლის ომამდე აწარმოა ქვეყნისთვის დამღუპველი პოლიტიკა — კოდორის ხეობას სახელი გადაარქვეს და ზემო-აფხაზეთი დაარქვეს. კოდორი ისე ჩააბარეს ტყვია არ გასროლილა, შემთხვევითაც კი არ გავარდნია ვინმეს იარაღი, სახელმწიფო დროშებიც კი არ იყო ჩამოხსნილი, ყველაფერი დატოვეს და ისე ჩააბარეს რუსებს. ეს ნამდვილად არ იყო შეცდომა, არამედ მიზანმიმართული დანაშაული, რომელსაც გამოძიება სჭირდებოდა. დღევანდელი ხელისუფლების დანაშაული ის არის, რომ ამ საქმის გამოძიება როგორც საჭირო იყო ისე არ წარმართეს და ის დამნაშავეები არ ამხილეს, რომლებიც სულ მცირე 308-ე მუხლის მესამე ნაწილით უნდა იყვნენ პასუხისგებაში მიცემულნი. იგივე ეხება ცხინვალის ოლქს — იგი, საკაშვილმა იმ საზღვრებში მოაქცია, რაც პუტინის ინტერესებში იყო და რუსეთს სწორედ, იმ საზღვრებით გადასცა. თუ გახსოვთ, ომის შემდგომ, კუშნერი რომ ჩამოვიდა, პრესკონფერენციაზე გაოცებულმა იკითხა: კი მაგრამ ეს რა საზღვრებია? ამ საზღვრებში, ცხინვალის ოლქი, საბჭოთა პერიოდშიც კი არ ყოფილა. ახლა, საიდან მოხვდა ამ საზღვრებშიო, ხელებს ასავსავებდა, ვერც გაიგო რა მოხდა. ის რაც კუშნერმა ვერ გაიგო, უნდა გაეგო დღევანდელ ხელისუფლებას, გამოეძიებია რა იდგა იმის უკან, როდესაც პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო კოდორთან და ცხინვალთან დაკავშირებით.

ეს უსინდისო „ნაცები“, რა მტკიცებულებებზე საუბრობენ. საინტერესოა, რა წერია ტალიავინის დასკვნაში, რომელიც ტაშის გრიალით მიიღო ჩვენმა პარლამენტმა. კეთილი ინებონ და პასუხი აგონ იმაზე, რაც ამ დასკვნაში წერია. რა გაუკეთეს ქვეყანას? ჩახოცეს ადამიანები, ჯერ ომი დამთავრებული არ იყო და აქ, გამარჯვებას ზეიმობდნენ. სალომე ზურაბიშვილის განცხადებაზე კი არა იმაზე ისაუბროს „ნაცმოძრაობამ“ 7აგვისტოს დილის 7 საათიდან შუაღამემდე რომ აცხადებდა: ჩვენ, კონსტიტუციურ წესრიგს ვადგენთ, შევდივარ ცხინვალში, ბოლოს, საღამოს, საკაშვილმა ყველას დაასწრო და განცხადება გააკეთა: სრულად ვაკონტროლებთ ცხინვალსო. არ გახსოვთ, რა განცხადებებს აკეთებდა იაკობაშვილი? — რუსები არაფერ შუაში არ არიან, ჩვენ სეპარატისტებს ვებრძვითო. ეს უნამუსო, უზნეო ადამიანები რა მტკიცებულებებზე ლაპარაკობენ, როცა მათი დანაშაულის მტკიცებულებები მთელს მსოფლიოს ხელის გულზე უდევს.

— როგორ ფიქრობთ, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, სალომე ზურაბიშვილი გამოიძიებს ამ საკითხს?

— თუ იგი დაგვპირდება, რომ პასუხს მოთხოვს ყველა იმ პირს, ვინც ქვეყნის წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინა — რუსეთს ჩვენი ტერიტორიები მიზანმიმართულად გადასცა, თუ დაიწყებს ამ საქმეების გამოძიებას, ნათელს მოჰფენს 2008 წლის ომს და მის წინაპირობებს, მაშინ სალომეს არჩევნებში აბსოლუტური მხარდაჭერა ექნება. ვიმეორებ, თუ იგი 2008 წლის ომთან დაკავშირებით მოსახლეობას სიმართლის თქმას შეჰპირდება, ამხელს ყველა დამნაშავეს ვინც საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა, ოკუპანტთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჩვენი ტერიტორიების წართმევაში, თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მას ვუთხრა, რომ ამ შემთხვევაში, მას აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა ექნება და ერთხელ და სამუდამოდ, ჰაგაში თუ სხვაგან გაიგებენ, რომ საქართველო კი არ არის დამნაშავე იმაში რომ ტერიტორიები დაკარგა, არამედ ის კრიმინალები, რომლებმაც 2003 წელს რევოლუციის გზით, უკანონოდ, არაკონსტიტუციური გზით ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება და შემდგომ მის შესანარჩუნებლად ჩვენი ქვეყნის ტეროიტორიები, თავიანთი ძალაუფლების სანაცვლოდ, რუსებს გადასცეს. ეს აუცილებლად უნდა გამოვიძიოთ.

„ნაცმოძრაობამ“ დაინახა, რომ მარგველაშვილისგან განსხვავებით, სალომე ზურაბიშვილს ამ თემაზე პრინციპული დამოკიდებულება აქვს. იმედია, იგი, გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად დაიწყებს 2008 წლის ომთან დაკავშირებით გამოძიებას და ყველა დამნაშავეს დაადგენს. რუსეთი რომ ოკუპანტია, ამას გამოძიება არ სჭირდება, დოკუმენტები დევს. აი, ვინ იყო ქართული სახელმწიფოდან, რუსეთთან ერთად, თანამონაწილე უნდა დადგინდეს და მათ ქართული სასამართლოს წინაშე პასუხი აგონ ქვეყნის ტერიტორიების გასხვისების გამო.

— წარმოვიდგინოთ, რომ ზურაბიშვილმა მოხსნა კანდიდატურა. ვის უნდა დაუჭიროს მხარი ამომრჩეველმა?

— მართლაც საინტერესო კითხვაა — ვის დაუჭიროს მხარი ბაქრაძეს, რომელიც მოსახლეობას მოუწოდებდა დანა-ჩანგლით გამოდით და თავი დაიცავითო თუ კაკებეშნიკ ვაშაძეს? რა არჩევანის წინაშე დგას დღეს ქართული საზოგადოება? სალომე ზურაბიშვილს ედავება აქეთ ჩეკისტი და იქეთ, დანა-ჩანგლით მეომარი, გამყიდველი ბაქრაძე. „ნაციონალებს“ უნდა მისცეს ხმა ამომრჩეველმა? ან კიდევ ნარკომან ჯაფარას? რას ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ჯაფარიძის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით. ამ ქვეყანში კანონი აღარ არსებობს?

თამარ შველიძე
555 23 28 24

პეტრე – მიშას და გრიშას მოციქული

ეს არ არის „თამაში ჭვავის ყანაში“, ეს არის მეტად სახიფათო თამაში სეპარატიზმის ზღვარზე – მთელი ერისა და ეკლესიის საზიანოდ!

არ შეიძლება არ ითქვას, რომ:

მეუფე პეტრე სეპარატიზმის თესლს თესავს და ეროვნულ განხეთქილებას აღვივებს სამეგრელოს რეგიონში, თავის მრევლში და ეკლესიას უპირისპირებს პატრიარქს და სახელმწიფოს...

მან, ამ „პეტრე მოციქულმა“ ჩააგდო განხეთქილების ვაშლი პრეზიდენტობის კანდიდატ სალომე ზურაბიშვილსა და ეკლესიას შორის, როდესაც პირდაპირ ამბიონიდან დასწყევლა ზურაბიშვილი და მრევლს მოუწოდა, არ მისცენ მას ხმა!..

რატომ, რა მოხდა? რამ აიძულა „პეტრე მოციქული„ ასეთი ქადაგებისთვის?

მეუფე პეტრეს ნაციონალების მოყვანა/მობრუნება/ უნდა, ის თავგადაკლული ქომაგია სააკაშვილისა; ის ლობირებს სატანას, რომელმაც საქართველო XXI საუკუნეში კატასტროფის ზღვარზე დააყენა და, ფაქტობრივად, დაშალა და დაანგრია!

სააკაშვილის ფაქტორმა დაგვაკარგინა ძირძველი ქართული ტერიტორიები: ციხე-სოფლები, ქალაქები, შიდა ქართლი, კოდორის სტრატეგიული სივრცე და მტერი გორთან მოიყვანა!..

სააკაშვილის ფაქტორმა დაშალა ერის ფსიქოლოგია, დაანგრია კულტურისა და განათლების სისტემები, მთლიანად მოშალა სოფელი და სოფლის მეურნეობა. იმდენად არის აოხრებული ყველაფერი, რომ ივანიშვილს ქვეყანა გონზე ვერ მოჰყავს... (და კიდევ დიდი დრო დასჭირდება ამისთვის, როგორც ალექსანდრე დიდს დასჭირდა თემურ ლენგის მერე).

სააკაშვილის მიერ აყრილი და განდევნილია ერი საკუთარი მიწა-წყლიდან, ქონებაწართმეული, ექსორიაქმნილი, ქუჩებში და საპყრობილეებშია ჩახოცილი!

ამას პეტრე ვერ თუ არ ხედავს და ჯიუტად ნაცების ქომაგობას ცდილობს. ამიტომ არისხებს ის სალომე ზურაბიშვილს ყოვლად შეუფერებლად საეკლესიო პირისა, რომელსაც მეტად სტრატეგიული ეპარქია აბარია...

მან იგრძნო, რომ სალომე ნაცებისთვის „შეუვალი კერპი“ იქნება, პეტრე ამბიონიდან პირდაპირი და ღია ქადაგებით დაუპირისპირდა მას და იძულებული გახადა, ეკლესიის მიმართ პროტესტი გამოეთქვა! საკუთარ პროტესტში სალომე ზურაბიშვილი მეუფე პეტრეს გულისხმობდა და არა მთლიანად ეკლესიას. მან პირდაპირ განაცხადა, რომ „არ ასახელებს ადამიანებს და პიროვნებებს პირდაპირ, ამას არც საკუთარ თავს აკადრებს და არც მათ!“ — ეს ქალბატონი სალომეს სიტყვებია.

მაგრამ ასეთი პოზიცია შეცდომა აღმოჩნდა, მეუფე პეტრე პირდაპირ უნდა „გაეჯორა“ და ემხილა მას. მაშინ ეკლესიისთვისაც და საზოგადოებისთვისაც ნათელი გახდებოდა, თუ რატომ დაუპირისპირდა იგი გარკვეულ ღვთის მსახურთ და არა ეკლესიას!

მაგრამ მეუფე პეტრემ შეძლო ეკლესიასა და პრეზიდენტობის მისთვის არასასურველ კანდიდატს შორის განხეთქილების ჩამოგდება და ამით რაღაც მიზანს მიაღწია!

●

ამ თემის რეზიუმეს სახით ვიტყვი, რომ მეუფე პეტრე ზოგადად სახელმწიფოს და „ქართულ ოცნებას“ ებრძვის, რადგან სააკაშვილის „კლანი“ და მისი პირადი მოძღვარია, ნაცების თავგადაკლული ქომაგი... ამდენად, სალომე ზურაბიშვილის სახით „ქართულ ოცნებას“ ებრძვის!.. მისი ქადაგება ამ მხრივ პირდაპირ ანომალიური და მიუღებელია!..

სწორედ მღვდელმათავართა ასეთ გამოხდომებზე გამოთქვა შენიშვნა უბრძენესმა პატრიარქმა და უთხრა მათ, რომ საარჩევნო კამპანიებში ამგვარად არ უნდა ჩაერიონ, პატრიარქის მიმართვაში სწორედ პეტრე (და პეტრესნაირები) იგულისხმებოდა, რომლებიც არც სახელმწიფოს სცემენ პატივს და არც პატრიარქს უსმენენ და ვერც შექმნილ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებას აცნობიერებენ...

●

გასაკვირია ზოგიერთიო სხვა მეუფეებისა და მოძღვრების პოზიცია, რომლებიც სალომეში ეკლესიისთვის ხიფათს ხედავენ, მაგრამ ხიფათს ვერ ხედავენ ნაციონალებში და მათ გამონაყოფ „კლონებში“, საპრეზიდენტო კანდიდატებად რომ გამოეცხადნენ ქვეყანას მე-13 თუ მე-14 მოწმეებივით ეშმაკის მოციქულები. ერთი „ჯოკონდას“ ღიმილით დადის და მეორე — „ლუციფერის“ სიფათით/ჰაბიტუსით!..

ეტყობა, დაავიწყდათ ქართული ეკლესიის მოძღვრებს და „მოციქულებს“ თუ როგორ ებრძოდნენ და რა დღეში ჰყავდათ ეკლესია ნაცებს და ლიბერასტებს! როგორ ცდილობდნენ პატრიარქის მოწამვლას და მოშორებას!..

მე მახსოვს სააკაშვილის შემონათვალი, სადღაც წასული რომ იყო იქიდან: „რომ დავბრუნდები, ეგ ბებერი მანდ აღარ დამხვდესო!..“ ეს გარეწარი „ბებერში“ პატრიარქს გულისხმობდა!..

მე მახსოვს ის ფატალური დრო, როდესაც სინოდის სხდომებს ადეიშვილები და უგულავები ატარებდნენ!..

მე ვარ მოწმე, პატრიარქის ერთ-ერთი ქადაგებისას როგორ ამოძვრა თითქოს მიწიდან უგულავა და პატრიარქის ზურგთან მეუფეებს შორის ჩადგა და პატრიარქის ეპისტოლეს „გაკონტროლება“ დაიწყო...

მრევლს ზაფრამ გადაუარა, ვიღაცამ კიდევაც გადაიღო ეს კადრში (მე ვთხოვ, რომ გამოაჩინონ ის კადრი)!

პატრიარქმა მაშინ თავისი ქადაგება შეამოკლა და შეწყვიტა...

რა დონის თავხედობაა, როდესაც პატრიარქის ტექსტში იუდასავით იყურები...

დაავიწყდა ის დრო, მოძღვრებს და (საზოგადოებასაც!), როდესაც უგულავა-ბოკერია-ბარამიძეები-ახალაიები გლდანის ტაძარს კამაზებით ანგრევდნენ, ფერიის ეკლესიას და ბრწყინვალე მონუმენტურ ძელებს აფეთქებდნენ.

რომ დავით აღმაშენებლის და ილიას ძეგლები „გადაჰქონდათ“ თავისი ადგილებიდან და უკუღმა დგამდნენ და უამრავ სხვა ბოროტებას ამკვიდრებდნენ...

●

ხიფათი სწორედ ამაშია, კვლავ მათ მოვლინებაში და არა სალომე ზურაბიშვილში!

სალომე ზურაბიშვილს არაფერი დაუშვებია ქართველი ხალხისთვის და სახელმწიფოსთვის! ის პატრიოტი ემიგრანტის ოჯახში გაიზარდა. მისი ემიგრანტული ქართული გაცილებით აღემატება ხარისხით ვაშაძის რუსული კალკებით და აქცენტებით, ჟარგონებით მეტყველებას!..

აქ გაზრდილმა რუსის აგენტმა ვერ ისწავლა ქართული და რა გასაკვირია, ემიგრაციაში მყოფ (იქ დაბადებულ და გაზრდილ) ქართველს ფრანგული აქცენტი ჰქონდეს!..

ვიმეორებ: მას არასოდეს უღალატია სამშობლოსთვის! ემიგრაციაში რუსების განდევნილი საკუთარმა ტკივილმა და სამშობლოს ნოსტალგიამ დააბრუნა... მას არ შეიძლება რუსი უყვარდეს და ვინმემ რუსოფილი უწოდოს, განსხვავებით რუსეთის ნააგენტარი ვაშაძისგან!

როდესაც ვამბობთ, რომ ქვეყანა სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა დაღუპა, ის წამოეგო რუსულ ავანტურას, აღმოჩნდა მტრების დაგებულ ხაფანგში და ქვეყნის 20% ერთ დღე-ღამეში დაკარგაო! – ტყუილია?! ტყუილია, რომ მთელი ღამე ის ბომბავდა ცხინვალს „გრადებით“ და დილით აცხადებდა, ცხინვალი უკვე ავიღეთო?!

მე მაკვირვებს მართლაც მოღალატედ და ქვეყნის (სახელმწიფოს) მტრებად ქცეული ტელევიზიების აგრესია სალომე ზურაბიშვილის მიმართ! მათ მიერ სააკაშვილის მუდმივი პროპაგანდა და ამ მაოხრებელი გზირის მუდმივად ეკრანზე ჩამოყუდება. რა დონის სექტანტიზმი და პროვინციალიზმია, რა დონის ფაშიზმის პროპაგანდაა!..

რას და ვის იცავენ სრულიად მიკერძოებული და ტვინგარეცხილი უტიფარი ჟიჟილაშვილები, სანაიები, გრიგოლიები... არაფერს ვამბობ კაბუნია-კვესიტაძე-მელაძის ტიპის ანტიქრისტეებზე, რომლებიც ეშმაკმა მოუვლინა ამ ქვეყანას!

რა ვირუსი, რა ბაქტერია შეუჩნდა ისეთი, რომ ტელევიზიის ეკრანებზე რეკლამებად რომ აკრავენ: „სალომე ზურაბიშვილი მოღალატეა!“ რა დონის თავხედობაა!.. მე მიმაჩნია, რომ ყოველ ასეთ ცილისწამებასა და უტიფრობაზე სასამართლოში უნდა აღიძრას სარჩელი და დაისაჯოს დამნაშავე. საზოგადოებამ უნდა დაიწყოს ტელევიზიების რეგულაცია, თორემ ქვეყანა თავზე დაგვაქცევს!.

პოლიტიკაში ამ ტიპის უზნეობა უნდა შეწყდეს.

სასულიერო პირები ინტერვიუს არ უნდა აძლევდნენ მელაძის ტიპის ავანტურისტებს.

დასკვინის სახით ვიტყვი და გავიმეორებ: რასაც ტელევიზიები და ზოგიერთი მეუფე (და, კერძოდ, პეტრე) აკეთებენ, ეს არ არის „თამაში ჭვავის ყანაში“, ეს არის „საბედისწერო თამაში“ ერის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე!..

დიდი ხანია, პეტრე სეპარატიზმის თესლს თესავს და განხეთქილების ვაშლს აგორებს, თავის ეპარქიას, მრევლს, ბერ-მონაზვნებსაც კი უპირისპირებს პატრიარქს და ქვეყანას და სატანის წისქვილზე ასხამს წყალს.

მადლობა უფალს, უბრძენესმა პატრიარქმს სწრაფად და სწორად შეაფასა ვითარება და მეუფეებს უთხრა: არ ჩაერიონ საპრეზიდენტო არჩევნებში. რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება სალომე ზურაბიშვილის ლანძღვა. ეს არ არის სწორი არც პოლიტიკურად და არც ეროვნული კუთხით!

არ დაგვავიწყდეს ბრძოლის ველიდან გამოქცეული სააკაშვილი „ომშიგან პირის მხმეჭველი“, რომელიც პირდაპირ „ვეფხისტყაოსნის“ კონტესტქსტში ჯდება:

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა —

შედრეკილ-შეშინებულსა, ომშიგან პირის მხმეჭელსა“.

ეს „ვეფხისტყაოსნის“ სენტენცია პირდაპირ და ზუსტად მიესადაგება ბრძოლის ველიდან გამოქცეულ ნაცების სარდალ სააკაშვილს — საკუთარი მკვდრები რომ მიატოვა და შემდეგ მათ გვამებზე კარნავალი გამართა!

აი, ეს არის სიმართლე, საზოგადოებას და ტელევიზიებს რომ უნდა ახსოვდეთ და, მათ შორის მეუფე პეტრეს...

კობა არაბული

გელა ზედელაშვილი

ღალატის ანატომია

ვინ, როგორ და რატომ ულალატა ბიძინა ივანიშვილს?!

ჯადოსნური სიტყვები ბიძინა ივანიშვილისთვის

(გაგრძელება.

როდესაც ბიძინა ივანიშვილის ღვაწლზე და მის მიმართ უმადურობაზე ვწერ, ყოველთვის მახსენდება 2012 წლის 23 აპრილი. ალბათ, თქვენც გახსოვთ, როდესაც მისი მცირე კორტეჟი დიღმის ტრასაზე პოლიციელებმა გააჩერეს და "კაჩაობა" დაუწყეს. საერთოდ, მე მომხრე ვარ, თუ ვინმემ წესრიგი დაარღვია, ვინც არ უნდა იყოს, მაღალჩინოსანი თუ დაბალჩინოსანი, პატრულმა უნდა გააჩეროს და ზრდილობიანად მიუთითოს ან დააჯარიმოს. სასტიკად ვერ ვიტან, როცა პოლიციელს შეურაცხყოფას აყენებენ, ხელებს უპარჭყავენ და რაღაცებს ძველბიჭურად უმკიცებენ. ივანიშვილის შემთხვევა ამ მხრივ გახლდათ უნიკალური, მისი დანაშაული ის გახლდათ, რომ არჩევნების გზით პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა. სწორედ ამიტომ გაჩერეს და დაიწყეს ბოდიალი. პოლიციელებმა განაცხადეს, ორი მანქანის საკითხია გასარკვევი, ეჭვს იწვევსო. მერე მიხვდნენ, რომ ეს ვერსია არ გამოდგებოდა და სხვა "ჩვენებას" მიაწვნენ, თითქოს ისინი ისე გადავიდნენ ზოლიდან ზოლში, ციმციმა არ ჩართეს. აქ საყურადღებოა თავად ივანიშვილის საქციელი... ნეტა როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ უფრო "ვაჟკაცურად" გამოსვლოდა? წესით, მისი პათოსი ასეთი უნდა ყოფილიყო: შე მამაცხონებულო, წლების განმავლობაში გაჭმევ, გასმევ, გინახავ, გაძლევდი იარაღს, მანქანას, საწვავს, მე გაქციე ადამიანად, ახლა აქეთ მიტრაკებ უმიზეზოდ? გავკარი თქვენს უფროსს და კიდევ იმის უფროსს, შე ჩემა, მაგათაც მე ვაძლევდი ხელფასს, მე ვარიგებდი ჭკუაზე, მე ვურიცხავდი მილიონებს! მე ვიყავი თქვენი სოროსი და მამა-მარჩენალი, მე ავაშენე სამება და გავარემონტე უამრავი ეკლესია, სკოლები, კულტურის კერები... მილიონებს ვუხდიდი ინტელიგენციას, ბებიაშენს, ბაბუაშენს, შენს ნათესავებს, რათა სული არ გასძვრომოდათ და არ გასულიყვნენ მარილზე გაღმა. დიახ, ეს მე ვარ და ამის შემდეგ თქვენ ბედავთ, რაღაცებს მიედ-მოედებით?!

აი, ასე უნდა გაედო ივანიშვილს ისედაც დაბნეული პოლიციელებისთვის... ალბათ ასე მოიქცეოდა საქართველოში 90 პროცენტი, მაგრამ არა, მას მსგავსი არაფერი დასცდენია, მსგავსი არაფერი უთქვამს, პირიქით, 3 საათი მოთმინებით იტანდთა მავანთა თავხედობას და ისე ცდილობდა საკითხის გარკვევას, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე. ხშირად მიფიქრია, მე როგორ მოვიქცეოდი ანალოგიურ სიტუაციაში? როგორ და... ეგრევე მივახლიდი პოლიციელებს: ბიჭებო, მოდით, ჯერ ეგ ჩემი ნაყიდი ფორმები და "ტრუსიკ-მაიკები" გაიხადეთ, მანქანები ემანდ ჩრდილში გადააყენეთ, იარაღი ხეებზე ჩამოკიდეთ და ისე მელაპარაკეთ-მეთქი. იცით, რატომ მივახლიდი ასე? იმიტომ, რომ ალბათ არ ვარ ივანიშვილივით დიდსულოვანი და მიმტევებელი. შეიძლება ზოგისთვის ეს შემთხვევა ჩვეულებრივი მოვლენაა, ზოგისთვის — მიუღებელი ინციდენტი, მაგრამ ჩემთვის ნათელი მაგალითია, თუ როგორი უნდა იყო ადამიანი, როგორ არ უნდა წამოაყვედრო ხალხს სიკეთე. ბოლოს და ბოლოს, სიკეთის გაკეთებას ხომ არავინ გაიძულებს, ცხოვრების ასეთი სტილი ხომ შენ თვითონ აირჩიე? ჩვენში დარჩეს და... როცა მე შვილიშვილი გამაბრაზებს, ან უმადურობას გამოიჩენს, აღარ მაქვს ხოლმე სურვილი, ნაყინი ან სათამაშო ვუყიდო, ეს კიდევ მილიონებს ხარჯავს, ლანძღავენ და ვითომც არაფერი!

არ ვიცი, არ მიკითხავს... როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოდიოდა, იცოდა თუ არა, რა იქნებოდა მომავალში და რამდენ სიბინძურეს წააწყდებოდა? მე ვფიქრობ, იცოდა, მაგრამ ამდენ სიმყრალეს და უმადურობას მაინც არ ელოდა. მოდით, დეტალურად გავიხსენოთ — მას ხომ პოლიტიკაში მოსვლის პირველივე დღეებიდანვე უღალატეს? ღალატში ეწვმიტანილი გიგა ჩრდილელი მაინც ბოლომდე არ გაწირა და "თბილავიამშენის" აღმასრულებელ დირექტორად გაამწესა. ივანიშვილს პირველ წერილში არ უხსენებია, თავი შეიკავა, თორემ კულუარებში დიდი გარჩევების შემდეგ ჩრდილელს მისი მოადგილე დმიტრი ქუმსიშვილი და "ქართუს" ვიცე-პრეზიდენტი გიორგი კვირიკაშვილიც მიაყოლა, ერთი "პალიტრა მედიაში" წავიდა, მეორე — უცხოეთში გაემგზავრა. სამი წამყვანი ფიგურის გაშვება ღალატის "მუხლით", ძალიან რთული და მტკივნეული იყო, თუ ჩრდილელმა აგენტის სტატუსი აიკრა, ქუმსიშვილი და კვირიკაშვილი ფულის კეთებაში დაადანაშაულეს! თუმცა რა? ამ ორი განუყრელი მეგობრის შემთხვევაშიც იგივე განმეორდა — ბიძინა ივანიშვილს შეუჩნდნენ, კაი ბიჭები არიან, თქვენი ღალატი გულშიც არ გაუვლიათ, დააბრუნე, გამოვიყენოთ, კადრები გვჭირდებაო. ისევ დიდსულოვნებამ გადაწონა, დააბრუნა და რაც მოხდა, იცით — კვირიკაშვილი პრემიერი გახდა, ქუმსიშვილი — ვიცე-პრემიერი და ეკონომიკის მინისტრი. ფაქტობრივად, ორ გაგდებულ ადამიანს ჩააბარა ქვეყანა. ამას წინებზე ცნობილმა პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ დამირეკა — შენს წერილებს გულდასმით ვკითხულობ და ერთი კითხვა არ მასვენებს, სიმართლეს კი წერ, მაგრამ იმაზე რატომ არ ამბობ, ივანიშვილი ამდენ შეცდომას რომ უშვებს, ამ კადრებს ხომ თავადვე აწინაურებსო? სამართლიანი შენიშვნაა, პასუხი მაქვს, მაგრამ არ ვიცი, რამდენად დამაჯერებელი იქნება ყველასთვის: პირველი — ბიძინა ივანიშვილს კი აქვს თავისი პრინციპები, ხშირად სიჯიუტესაც ავლენს, მაგრამ უამრავ საკითხში მაინც ითვალისწინებს დაახლოებული პირების რჩევებს; მეორე — ის არ არის ღმერთი (როგორც ბევრს ჰგონია), რომ ყველას გულში ჩაიხედოს და წინასწარ მიხვდეს, ვინ რას აპირებს. მას პირადად ჩემთან აქვს ნათქვამი, რა ვქნა, საიდან მოვიყვანო სანდო ხალხი, ცოტანი დავრჩით, რაც ვართ, ეს ვართო; მესამე და მთავარი — ნუ გვავიწყდება, ეს საქართველოა, სადაც (კონსტანტინე გამსახურდიას თქმით) ყოველ ნაბიჯვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობა. ოღონდ, დიდი კონსტანტინეს ნათქვამს მორიდებით დავამატებ, სანამ ნაბიჯვრები აზნაურობაზე და ნაცარქექიები სარდლობაზე დაიწყებენ ფიქრს, ისეთ სურათს დაგიხატავენ, თითქოს წმინდანები არიან და სამშობლოზე ფიქრით არასოდეს სძინავს, ამავე დროს ისეთ მორჩილებას ამჟღავნებენ, ვერ წარმოიდგენ, ოდესმე თუ გიღალატებენ. სხვათა შორის, დღეს ბევრი აცხადებს, ტვინით დატენილი ხალხი სახლში ზის, უტვინოები კი ყელყელაობენო. შეიძლება ამაში რაღაც დოზით არის სიმართლე, უტვინოებს ნებისმიერ დროში და ნებისმიერ ქვეყანაში უფრო მეტი პრეტენზიები აქვთ, ხშირად უფრო მეტსაც აღწევენ, მაგრამ მთლად ასეც ვერ ვიტყვით, რომ ყველა ჭკვიანი სახლში ზის. ამას წინებზე სართვლოდ გამზადებული ვენახები დავათვალიერე ქიზიყში, ძველი ნაცნობები ვნახე, ერთი წამომიდგა და მეუბნება: აუ, ბიჭოოოო, ეს ვინ მოვიდა, ბიჭოოო (ივანიშვილი იგულისხმა), ვენახიც კი აღარ ისხამს, ყოველ წელს ფუჭდება და ფუჭდება! კი, მაგრამ რა შუაშია ბიძინა ივანიშვილი, თუკი ვენახი არ ისხამს?! ეს იმიტომ ხდება, რომ ჯერ ერთი, დრო გადის, შენი ვაზი ბერდება, ანუ შენთან ერთად ყ...ევდება და მეორეც — მამაშენმა კიკოლამ რომ სარწყავი სისტემა ამოძირკვა, ეგ ვენახი აღარ ირწყვება, გაიგე, შე ჩემის თვრამეტიანო?!

სანიმუშო მაგალითად მაქვს ხოლმე ამერიკელ ჯონი ვურდემანის ცხოვრება, რომელიც სიღნაღში 1990-იან წლებში ჩამოვიდა, რაღაცებს ხატავდა, კახელი გოგო შეირთო, შვილებიც ჰყავთ და ახლა ქართულ მიწას ეჭიდავება. ჩემი სახლიდან ნახევარ კილომეტრში ღვინის მარანი და რესტორანი გააკეთა — სწორედ იქ, სადაც ადრე ნაგავსაყრელი იყო. ვენახებიც გააშენა, ტურისტებიც ჩამოჰყავს, ღვინოსაც ასხამს. ამ დროს ადგილობრივები რას აკეთებენ? არაფერს, დღე და ღამე ჯონის ლანძღავენ — მაგ ამერიკელს დოლარები აქვს და ჩვენ არ გვაქვსო. არადა, ვიცი, ვნახე, ჩემს თვალწინ გაიარა ყველაფერმა, კაცმა ნულიდან დაიწყო, სულაც არ ეტყობოდა, რომ მილიონერი ინვესტორი იყო, არ ჰქონდა ფული, მან მხოლოდ იცოდა შრომის ფასი და შრომის კულტურა. ამას წინებზე ერთმა მითხრა, მაგას სიღნაღში დებილ ჯონის ეძახიანო. რათა-მეთქი? არ ვიცი, ეგრე ეძახიანო. ჰა, ჰა, ჰა... დებილი ვინ არი, კაცო, ჯონი თუ ის ქართველი, ეზო-კარი რომ აუბალახდა, მის ვენახი მოუვლელობით რომ ჩამოჭკნა, მთელი დღე ბირჟაზე ყვერებს რომ იფხანს, თუ ჯონი?! ნეტა საქართველოში რამდენიმე ასეული ჯონი მოგვცა, რამდენიმე წელიწადში ავშენდებოდით!

2013-ში ბიძინა ივანიშვილმა დასეტყვილ მევენახეებს 80 მილიონი ლარი რომ აჩუქა, გახსოვთ, ხომ? ეგ ის ფული იყო, სააკაშვილმა რომ დააყაჩაღა ბანკში მიმავალი "ქართუს" მანქანა. გადმოცემით ვიცი, მაშინ ივანიშვილთან დაახლოებული პირები შეცვივდნენ — ბატონო ბიძინა, 80 მილიონი წაგვართვეს, ახლა რაღა გვეშველებაო? იმას გაუცინია, არ ინერვიულოთ, 4 მილიარდ 920 მილიონი კიდევ დამრჩაო. როცა პრემიერი გახდა, წართმეული ფული დაიბრუნა, მაგრამ სახლში არ წაუღია, თელაველ მევენახეებს დაურიგა კომპენსაციის სახით. ამათ, ამ მევენახეებმა "მერსედესები" იყიდეს და ტაქსაობა დაიწყეს, ვაზსა და ყურძენს შეეშვნენ. ერთი პერიოდი, კახეთში ბავშვი რომ დააცემინებდა, მხარზე ხელს წამოარტყამდნენ ხოლმე და ეტყოდნენ: "სეტყვა, შვილო, სეტყვა"! დიახ, გლეხებს უკვე უნდოდათ, ყოველ წელს სეტყვა ყოფილიყო და ბიძინას ფული ერიგებინა. არ მოხდა ასე, მთავრობამ გამოაცხადა, ვენახები და ბაღ-ბოსტნები დააზღვიეთ, 50 პროცენტს ჩვენ ვიხდითო. ცოტამ დააზღვია, ბევრმა — არა, უმეტესობამ დაიკიდა, უფრო სწორად, იწუწკა. კიდევ მოვიდა სეტყვა, ატყდა ერთი ამბავი, დაუწყეს ივანიშვილს გინება. აი, ჩვენი შეგნება და მორალი, ჩვენი გაგება!

და ბოლოს... დავუბრუნდეთ კვირიკაშვილ-ქუმსიშვილის თემას, მაინც როგორ მოხდა, რომ ბიძინა ივანიშვილს ღალატის "მუხლით" გაშვებული ადამიანები დააბრუნებინეს და ქვეყანაც კი ჩააბარებინეს? ამაზე იმ ადამიანთან მისაუბრია, ვინც პირადად იყო ჩარეული და ვისაც ბატონი ბიძინა უჯერებდა — ეს გახლავთ გია ხუხაშვილი. მან მითხრა, რომ კვირიკაშვილის მობრუნება და დაწინაურება იყო სრული კურიოზი, უცებ ვიღაცას გაახსენდა, თქვა, გასაგდები ბიჭი არ იყო, მოდით, ერთი შანსი კიდევ მივცეთო და გადაწყდა. საერთოდ, თუ გინდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ვინმეს დაწინაურებაზე ან სადმე დანიშვნაზე დაითანხმო, უნდა უთხრა ჯადოსნური სიტყვები: "მივცეთ კიდევ ერთი შანსი". ეს სიტყვები ჩემთვის ნაცნობია, ერთი-ერთზე საუბრისას არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, ყველას უნდა მივცეთ შანსიო. კი, ბატონო, მივეცით, მაგრამ ახლა კვირიკაშვილ-ქუმსიშვილს 700 მილიონის დატაცებას ედავებიან. ედავებიან რა, ამბობენ, თორემ ბოლოს რა იქნება, არავინ იცის.

ძალიან ბევრმა გამოიყენა ბიძინა ივანიშვილის სახელი, ძალიან ბევრი დღესაც იყენებს და ალბათ მომავალშიც გამოიყენებენ... ქვეყანაში, სადაც სინდის-ნამუსი დაკარგულია, ყველაფერს ერთი კაცი ვერ გააკონტროლებს. ჩვენ კიდევ, რაცა ვართ, ესა ვართ — გაუტანლობა, ბოღმა და შური გვტანჯავს. აქ მინდა, ერთი ფრაგმენტი გაგახსენოთ ბიძინა ივანიშვილის პირველი წერილიდან:

"არ მინდა საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ, აი, მოვედი მე, ვიღაც უცოდველი კრავი და სხვებს განვიკითხავ და მორალს ვუკითხავ. არა, ეს ასე არ არის, მეც ბევრი შეცდომა დამიშვია და ბევრჯერ შემშლია, რაც ხმამაღლა მიღიარებია და საკუთარი თავი გამიკიცხავს. ჩვენ ყველანი თანაბარუფლებიანი და თანასწორი მოქალაქეები ვართ ამ ქვეყნისა და მე არასოდეს მიფიქრია, რომ მე ჩემი სიმდიდრით ვინმეზე, მატერიალურად თუნდაც ხელმოკლე ადამიანზე, რაიმეთი მეტი ვარ. არც ის მიფიქრია ოდესმე, რომ მე უფრო მეტ საქმეს ვაკეთებ ამ ქვეყნისთვის, ვიდრე უბრალო გლეხი, რომელიც ვაზს უვლის, კალატოზი, რომელიც აგურს აგურზე ადებს, პოეტი, რომელიც ლექსს წერს, სპორტსმენი, რომელიც სპორტში მოღვაწეობს. მთავარია, ყველამ ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოვავლინოთ და ბოლომდე დავიხარჯოთ საქვეყნო საქმისათვის".

(გაგრძელება იქნება)

დავით უსუფაშვილის ვნებები

ბასტი-ბუბუ

დავით უსუფაშვილი, სხვებთან შედარებით, განათლებული კაცია, მაგრამ მან ვერა და ვერ მოიგო ქართველი ხალხის გული, რა 1%-იანიც იყო, იგივე დარჩა. ამას, რასაკვირველია, აქვს სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. აი, პირადად მე, როცა ტელევიზორში ვუსმენ, სულ მგონია, რომ ნახევარს თინა ხიდაშელის (ცოლის) დაწერილს კითხულობს, ანუ გაზეპირებულს იმეორებს. არადა, ვიცი, შეიძლება ასე არ არის.

და მაინც, რა არის დავით უსუფაშვილის ურეიტინგობის მიზეზი? მის ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ,

არ უნდა ჰქონოდა ურიგო მომავალი, 1992 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუმთავრებია, იურიდიული განხრით. თუმცა მას ხშირად უხსენებენ პირველ „ჩეპეს“ – მაშინ, როცა კომუნისტური პარტია იშლებოდა, ფაქტობრივად დაიშალა, წინა დღეს შევიდა მის რიგებში. არა, ეს არ გახლავთ დიდი კომპრომატი, კომუნისტურ პარტიაში ვინ არ შესულა და გამოსულა, მაგრამ შავ ლაქად მაინც რჩება – მან ეს აქტი ჩაიდინა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, ანუ მაშინ, როცა იქიდან ხალხი გამორბოდა. მოგვიანებით დავითს ჰკითხეს, ეს როგორ გააკეთეო? რას ამბობთ, პარტიაში იმიტომ შევედი, რომ შიგნიდან დამენგრიაო. ვერაფერს იტყვი, თუ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია მთელი ცხოვრება სოციალიზმს ებრძოდნენ, ბოლომდე მაინც ვერ დაანგრიეს და ფაქტობრივად, ამ საქმეს შეეწირნენ კიდეც, უსუფაშვილი უფრო მაგარი გამოდგა – შევიდა, მიიხედ-მოიხედა, იქით ჩაქუჩსა ძვრა უყო, აქეთ ნამგალსა წიხლი ჰკრა, ლენინის ბიუსტს თვალებში თითი ატაკა და ოდესღაც უძლეველი პარტია დაანგრია, უცებ ხუხულად აქცია. ნუ იცინით... მართალია, ეს ამბავი ზუსტად ნაცარქექიას „პონტსა“ ჰგავს, მაგრამ ფაქტია, ამ ადამიანმა კომუნისტურ პარტიას დედა უტირა. თუმცა იცით, როცა ტანისამოსიდან მტვერი ჩამოიბერტყა, რა გააკეთა? აი, უკან მობრუნებულმა კომუნისტებმა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება რომ დაამხეს და დასაწყისში „სახელმწიფო საბჭო“ დაირქვეს, იქ შევიდა, მრჩევლად დაიწყო მუშაობა. არ ვიცი, კიტოვანს, სიგუას და შევარდნაძეს მისი რჩევა რა ფეხებად უნდოდათ, მაგრამ ეს სოფლიდან ჩამოსული ტიპი, რატომღაც, სტუდენტობის დროიდან მოყოლებული, სულ „ხოდში“ იყო. ამბობენ, უსუფაშვილი ქიზიყის სოფელ მაღაროდან როა, ამას საგულდაგულოდ მალავს, ამ მხრივ დაკომპლექსებულია, დედაქალაქელობას აწვებაო. არადა, მშვენიერი სოფელია ზემო მაღარო, ლამის ზედ აკრავს სიღნაღს და მშვენიერი ხედებიც აქვს. მე მგონი, მან ამით უნდა იამაყოს. მერე რა, რომ სოფლელია, არც ქალბატონი თინა ხიდაშელი გახლავთ დედაქალაქელი, საგარეჯოს სოფელ ანთოკში გაიზარდა, რა პრობლემაა? მეტიც, თინას მამა – ანზორი ცნობილი „გაიშნიკი“ იყო, არც ეგაა პრობლემა!

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ერთი რამ ცხადია, დღეის მდგომარეობით გამომცხვარ ლიბერალ დავით უსუფაშვილს აშკარად ჰქონდა მიდრეკილება კომუნისტობისკენ, კომუნიზმისკენ და დიადი მომავალიც „ეჭყანებოდა“, რომ არა ავადსახსენებელი მიხეილ გორბაჩოვი და მასხარა რონალდ რეიგანი. პრინციპში, ესენი კი წაეხმარნენ უსუფაშვილს, მაგრამ თვითონაც დაუშვა მიუტევებელი შეცდომა – უკვე გითხარით, შევარდა პარტიაში და ჩამოშალა, შემოეშალა, ანუ ვერ მოზომა. არაუშავს, ცოტა ზედმეტი მომივიდა, მაგრამ სამაგიეროდ, ერი თავისუფალიაო, თქვა დავითმა და ედუარდ შევარდნაძის ეგიდით დაიწყო ახალი კონსტიტუციის წერა... პრინციპში, წერა რა, სხვები წერდნენ და ესეც კითხულობდა. აი, ამ დროს სულზე მოუსწრეს ამერიკელებმა, სხვა სიომ დაუბერა, იურისტების ერთმა ნაწილმა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ დააფუძნა, დამფუძნებელთა შორის დავითიც აღმოჩნდა. მეტიც, შემდეგ თავმჯდომარე გახდა. ეს იყო უკეთესი ტრამპლინი, ვიდრე კომუნისტური პარტია. დაიწყო უსუფაშვილის ცხოვრებამ საათივით წიკწიკი – გაჩნდა ამერიკულ-ევროპული პროექტები, უცხოეთში წასვლა-სწავლის შანსი, შევიდა დიუკის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტში, დაამთავრა, ჩამოვიდა და ეგრევე დანიშნეს „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარედ. ეს ისტორიული ფაქტი მოხდა 2005 წელს, მიხეილ სააკაშვილის ზეობის ხანაში.

ბარემ აქვე აღვნიშნავ... „რესპუბლიკელებს“ (ძმები ბერძენიშვილები, დავით ზურაბიშვილი და სხვები) თავიდანვე აქვთ „წამოკიდების“ მეთოდი – ვინც ხელისუფლებაში მოდის, უცებ შეეტენებიან, მხარს დაუჭერენ, პარლამენტში შევლენ და მერე იჭერენ გაუგებარ ლიბერალურ კურსს, მიუღებელ იდეებზე ბოდვას და დგებიან განზე. ამას ჩვენებურად ღალატს ეძახიან. იყვნენ უზენაეს საბჭოში, შემდეგ შევარდნაძესთან, შემდეგ მიხეილ სააკაშვილთან და... ასევე უპრობლემოდ აღმოჩნდნენ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“. კარგად მახსოვს ამ თემაზე ჩემი საუბარი ბიძინა ივანიშვილთან:

– „რესპუბლიკელებზეა“ ატეხილი ერთი ამბავი, ნეტა რაში გჭირდებოდათ, რატომ დაიყენეთ გვერდით მოღალატეები?

– „რესპუბლიკელებს“ რას ერჩი, რას უწუნებ?

- ყველას წამოეკიდნენ, ვინც კი ხელისუფლებაში მოვიდა და მერე უღალატეს. უჯიშო კოსმოპოლიტები არიან და მოვა დრო, თქვენც გიღალატებენ.

- განათლებული ხალხია... თუ ვინმე არასწორ გზას დაადგება, მე კი არა, ქვეყანას უღალატებს. ახლა ასეა საჭირო, არ ინერვიულო, მე ყველაფერი ვიცი, ისე იქნება საქმე, ვერც კი წარმოიდგენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილმა იცოდა, „რესპუბლიკელები“ უღალატებდნენ, განზე გაუდგებოდნენ, მაინც მისცა მათ სრული კარტბლანში – ადგილები პარლამენტში, ადგილები სამინისტროებში და რაც მთავარია, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა. ამავე დროს ახდა ჩემი ნათქვამიც (ამას დიდი წინასწარმეტყველება არ სჭირდებოდა), უჯიშოთა მოდგმა ტრადიციულად გადგა გვერდზე და ყველაფერზე დაიწყო ვაჭრობა. სწორედ ამ ვაჭრობის შედეგი გახლდათ, თინა ხიდაშელი რომ გახდა თავდაცვის მინისტრი. რა იყო ვაჭრობის საგანი 5 წლის განმავლობაში? უსუფაშვილს უნდა მიეღო ის კანონები და ცვლილებები, რასაც იღებს დღეს ირაკლი კობახიძე. ფაქტობრივად, დავითმა დაიწყო იმნაირივე მოქმედება, როგორც დაიწყო კომუნისტურ პარტიაში – შეყო თავი და შიგნიდან თხარა გვირაბი, დააზიანა „ქართული ოცნება“. როდესაც მას ახსენებდნენ, რომ ესა და ეს კანონიაო მისაღები, ასე და ასეა საქმე გასაკეთებელიო, ის ყოველთვის თავს იკატუნებდა და დრო გაჰყავდა. მიუხედავად ამისა, როცა წინა პარლამენტს ყავლი გაუვიდა, დავით უსუფაშვილს ბიძინა ივანიშვილმა შესთავაზა, დატოვე უჯიშოთა ჯოგი, გადმოდი „ოცნებაში“, მაინც გამოსადეგი კაცი ხარო. უარი თქვა დავითმა, თანაპარტიელებს გაუწია ანგარიში თუ რამე სხვა მოსაზრება ჰქონდა, არ ვიცი. პრინციპში, თანაპარტიელების ხათრით რომ მოქცეულიყო ასე, მაშინ აღარ დატოვებდა „რესპუბლიკურ პარტიას“ და აღარ შექმნიდა „შენების მოძრაობას“, ყოვლად უსახურ ორგანიზაციას, სადაც არც არავინ შედის, არც არავინ გამოდის.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, თავი რომ აღარ შეგაწყინოთ, დავითმა (ერთი შეხედვით) პოლიტიკური გზის გაკვლევა დამოუკიდებლად დაიწყო. დაუკვირდით, ის ყოველთვის ასე იქცეოდა, ყოველთვის იყო ურეიტინგო და თითქოს უპერსპექტივო, მაგრამ ცხოვრებაში, როგორც ბიძინა ივანიშვილი იტყვის ხოლმე, რაღაცებს გაარტყა – ბოლოს და ბოლოს, 5 წლის განმავლობაში იყო ქვეყნის მეორე პირი, 1%-იანი ადამიანისთვის განა ეს ცოტაა? კაი, ახლა იტყვით, ეგ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებააო, მაგრამ ხომ იყო, ხომ „გაარტყა“ კაცმა რაღაცას?!

რა შანსი აქვს ბატონ უსუფაშვილს, რომ გახდეს საქართველოს პრეზიდენტი? არავითარი. მაშ რატომ იყრის კენჭს, არ იცის? აი, მე მყავდა ერთი დიდი ბებია, თუ ისეთ რაღაცას ჰკითხავდნენ, რაც არ იცოდა, ეგრევე უპასუხებდა ხოლმე: ეშმაკმა რო სილა გკრათ, მე რა ვიცი?! მთლად ასე არ გიპასუხებთ, მაგრამ საქართველოში ვის თავში რა იხარშება, როგორ იხარშება, რატომ იხარშება, ძალიან ძნელი გასარკვევია!

ისე, რაღა დაგიმალოთ და... დავითი ხშირად ბასტი-ბუბუსაც მაგონებს თავისი ჰაბიტუსით და საუბრის მანერით. ეს ნამდვილად არ არის კომპრომატი, დამიჯერეთ.

გელა ზედელაშვილი

საცხოვრებელი სახლებია თუ ტოქსიკური ნივთიერებებით გამოტენილი კრემატორიუმები, სადაც ნელი და მტანჯველი სიკვდილი გველოდება?

ტყვია და სისხლში მისი შემცველობა მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ქართულ სუნელებში ტყვიის შემცველობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა. ამას სექტემბერში, ესტონეთის საელჩოს თანამშრომლებისა და დიპლომატიური კორპუსის წევრების საგანგაში განცხადებები მოჰყვა, რომლებსაც საქართველოში ყოფნის პერიოდში სისხლში ტყვიის მომატებული შემცველობა დაუდგინდათ.

„საერთო გაზეთს“ ასოციაცია „საშენი მასალები და მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ანზორ საკანდელიძე ესაუბრა:

დოქტორი ანზორ საკანდელიძე ესაუბრა:

– რატომ არის მომატებული ტყვიის შემცველობა? დავიწყოთ იმით, რომ რომ საქართველოში ნავთობპროდუქტების და ბენზინის მაფია მოქმედებს და ჩვენი ყველა უბედურება საბაჟოდან იწყება. რაც კი იმპორტზე შემოდის, ყველაფერს თავისი მაფია ჰყავს. სანამ ბიზნესი ასე კარტერულ გარიგებებზე იმუშავებს, მანამდე არაფერი გვეშველება, ამიტომ პირველ რიგში ამ სფეროს მოწესრიგებით უნდა დაიწყოს. როცა ჰაერის ტყვიით დაბინძურებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი ბენზინისა და თავად ავტომობილების ხარისხი, უფრო სწორად, უხარისხობა გახლავთ. არც ერთი ჩვენი მეზობელი არ უშვებს თავის ტერიტორიაზე ისეთ ძველ მანქანებს, როგორც ჩვენ. ეს მანქანები როგორც არ უნდა ვარემონტოთ და რაც არ უნდა შევუცვალოთ, იმ კონდიციამდე მაინც ვერ მივა, რომ ეკოლოგიის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს, თუმცა ეს მთავარი უბედურება არ არის.. ჩვენ ჰაერის დაბინძურებას მარტო ქუჩაში ვზომავთ, მაგრამ იცით, ბინებში რა ხდება? რასაც ქუჩაში ვიწამლებით, ათჯერ იმაზე მეტად ვიწამლებით ჩვენს საკუთარ ბინაში.

– საკუთარ ბინაში რამ და როგორ შეიძლება მოგვწამლოს?

– რამ და არც ერთ სამშენებლო, მოსაპირკეთებელ თუ სანტექნიკურ მასალას, რაც საქართველოში შემოდის, საბაჟოზე არავინ ამოწმებს, ამიტომ რაც მსოფლიოში ნაგავია, ყველაფერი ჩვენთან შემოაქვ თ. გაივსო საქართველო უხარისხო სამშენებლო თუ სარემონტო მასალებით. ტყვიის შემცველობა განსაკუთრებით მაღალია საღებავებში, წებოებში და სხვა დამხმარე სამშენებლო მასალებში. საღებავები, რომლებიც ეკოლოგიურ სისუფთავესთან ახლოს იყო, საქართველოში აღარ შემოდის, იმიტომ, რომ თურქეთიდან უფრო იაფფასიანები შემოყარეს. ხელოსნებისგან გამიგია, კარგი საღებავია, უცბად შრებაო.. ამ დროს, რაც უფრო ადრე შრება, მით უფრო მეტ ტყვიას შეიცავს და მით მეტად მომწამლავია, მაგრამ მარტო საღებავები? ახალი სახლები სულ ტოქსიკური სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალებით არის ნაშენები და გამკითხავი არავინაა. რკინა-ბეტონიდან დაწყებული, ყველა საშენი და მოსაპირკეთებელი მასალა შესამოწმებელია და შემოწმების ნაცვლად, ტყვია და სხვა მომწამვლელი ნივთიერებები ჩვენი ხელით შეგვაქვს ბინებში. ეს ევრორემონტი კი არა, ევროსიკვდილია, ვინაიდან ტყვია ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ძნელად გამოდის გარეთ, ორგანიზმში დაგროვებას იწყებს და ყოველი შესუნთქვის დროს დამატებითი რაოდენობა კონცენტრირდება. უნდა არსებობდეს აუცილებელი მოთხოვნა, რომ ჩაბარების დროს ბინა შემოწმდეს საშენებლო- ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმებზე, როგორც ტოქსიკურ მასალებზე ასევე, რადიაციაზე და რადოწზე. ეს გახლავთ რადიაციის ბუნებრივი წყაროებიდან ყველაზე მომწამვლელი და ჰაერზე ცხრაჯერ მძიმე რადიაქტიული გაზი, რომელსაც თეთრ სიკვდილს ეძახიან. ის ყველგან და ყველაფერშია: მიწაში, წყალში და ა.შ. რადონის გამოსხივებამ მთელ მსოფიოში უამრავი ადამიანი იმსხვერპლა, ამიტომ დაიწყეს რადონომეტრების შექმნა და სამშენებლო მასალების შემოწმება, მაგრამ საქართველოში ეს საკითხი ჯერ გაჟღერებულიც არ არის..

— თქვენი აზრით, წყალში ტყვიის მაღალი შემცველობა სასმელი წყლის პლასტმასის მილებში გატარებას არ უკავშირდება?

– გააჩნია, პლასტმასის მილი რომელი მასალისგან არის დამზადებული და შემოწმებულია თუ არა. ტოქსიკური პლასტმასიც შეიძლება იყოს და რკინაც. ალბათ იცით, რომ სანამ ატომური ელექტროსადგურზე კატასტროფა მოხდებოდა, ჩერნობილი სამრეწველო რეგიონი იყო და ათასობით ქარხანა და წარმოება ჰქონდა. ავარიის შემდეგ ჩერნობილის ტერიტორია გამოცხადდა მკვდარ ზონად, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ გარკვეულმა ჯგუფებმა იქ პარტიზანულად შესვლა და ლითონის ჯართად გამოტანა დაიწყეს. შემდეგ ეს ლითონი გადაადნეს და მილები, არმატურები, „შველერები“ და სხვა სამშენებლო მასალები დაამზადეს. მოგვიანებით, რადიაციით დაბინძურებული 100 ტონა ლითონის სამშენებლო მასალა მოსკოვში შეიტანეს და როგორც ჩანს, შემოწმების გარეშე დაიწყეს მშენებლობაში გამოყენება. ეს ამბავი სრულიად შემთხვევით „გასკდა“. იაპონელებმა რომელიღაც საბავშვო ბაღთან, გაიარეს, სადაც მილებს ამონტაჟებდნენ. რომელიღაცას ჯიბეში დოზიმეტრი ედო და განგაში ატეხა. გაყვნენ და ნახეს, რომ იმ ბაღში ყველა მილი რადიაციულად დაბინძურებული იყო და ბავშვებს წყლის ნაცვლად, შხამს ასმევდნენ. ამის მერე ატყდა ერთი ამბავი და ცხადი გახდა, რომ რუსეთი ამ მასალას ქვეყნის ტერიტორიაზე არ გააჩერებდა. მაშინ ითქვა, რომ ეს ჩალის ფასად ნაყიდი მილიონი ტონა რადიაციური ლითონი საქართველოში გივი თარგამაძემ და მისმა ძმამ შემოიტანეს. ამიტომ ვამბობთ, რომ შესამოწმებელია ყველაფერი.. მშენებარე, უკვე აშანებული თუ მომავალში ასაშენებელი..

— გამოდის, რომ ჩვენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე ვაკეთებთ ეკონომიას და საბოლოოდ, მკურნალობაში ორმაგ ფულს ვიხდით. არავისთვის საიდუმლო არაა, საქართველოში მძიმე დაავადებების რიცხვმა იმატა და თურქეთის კლინიკები ქართველი ონკოპაციენტებით სავსეა..

– რადგან კლინიკები ახსენეთ, გეტყვით, რომ სამშენებლო მასალები საავადმყოფოებშიც კი არაა შემოწმებული. ბევრჯერ შეთავაზეთ, რომ გვყავს სერტიფიცირებული ჯგუფი, გვაქვს შესაბამისი ხელსაწყოები და შეგიძლია შემოწმების დაწყება, მაგრამ პასუხიც არ გვაღირსეს. წარმოიდგინეთ, ძვირადღირებულ ოპერაციებს აკეთებენ და შემდეგ პაციენტები „გაზის კამერებში“ შეჰყავთ, რომლებიც სავსეა ტოქსიკური აირებით, რადონით, რადიაციით, მძიმე მეტალებით და ათასი უბედურებით. ეს მაინც არ უნდა შეამოწმო? როგორ უნდა მისცე საავადმყოფოს სერტიფიკატი ისე, თუ სამშენებლო ეკოლოგიაზე არ გყავს შემოწმებული? დროზე თუ არ დავიწყეთ სამშენებლო ეკოლოგიური ნორმების დაცვაზე ზრუნვა, მალე გვიან იქნება. ქალაქის მერია იქნება თუ ტექნიკური ზედამხედველობა, ვინც ამ შენობებს იბარებს, მათმა შვილებმაც ხომ ამ ქალაქში უნდა იცხოვრონ? რაზე ფიქრობენ, რატომ აძლევენ ამის უფლებას? 14 წელია, ამაზე ვიბრძვი, სად არ დავწერე, როგორ არ ვეცადე და ნაბიჯი ვერ გადავადგმევინე. ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაფერი ხომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეხება? რამდენჯერმე მივმართე ამირან გამყრელიძის სამსახურს, მაგრამ არაფერი.. მსოფლიო სტატისტიკა გვეუბნება, რომ ადამიანთა 50%-ზე მეტი სამშენებლო ეკოლოგიური ნორმების დაუცველობისგან გამოწვეული მძიმე დაავადებებით იღუპება და ჩვენ ჯერ ის ნორმებიც არ დაგვიდგენია, რომლებიც სიკვდილიანობას იწვევს. არც დაუდგენიათ, არც დაუმუშავებიათ და არც აუმოქმედებიათ. ყოველდღიურად ვიღაცა ავადდება, ვიღაცას დაავადება უმძიმდება და ვიღაცა კვდება და გამკითხავი და მომკითხავი არავინაა..

— როგორც ვიცი, საბჭოთა კავშირის დროს რაღაც მსგავსი ნორმები არსებობდა და ნაციონალური მოძრაობის დროს გაუქმდა, თუმცა არც დღევანდელ ხელისუფლებას უზრუნია აღდგენასა თუ ახლის შექმნაზე..

– საქმეც ამაშია, რომ არსებობდა და ამ ყველაფერს მშენებლობის სამინისტრო არეგულირებდა. 2004 წელს ყველაფერი ერთი ხელის მოსმით გააუქმეს, რომ ასე ეპარპაშათ. ამიტომ არის ასეთი განუკითხაობა სეისმოუსაფრთხოებაში და როდის დაგვემხობა ეს სახლები, კაციშვილმა არ იცის, თუმცა ეს კიდევ ცალკე თემაა. . ჯანმრთელობის დაცვას მიმართავ და ჩვენ არ გვეხებაო, მერიას მიწერ და ჩვენ არ გვეხება, თვითონ მშენებლის და ინვესტორის პრობლემააო.. გამოდის, სულ რომ ამოვწყდეთ ამ დაავადებებისგან, პასუხს არავინ არაფერზე აგებს.

— ამოწყვეტის გარდა, სხვა გამოსავალი არ არსებობს?

– ერთადერთი გამოსავალია, რომ გაჩნდეს პასუხისმგებელი სტრუქტურა, როგორიც ადრე მშენებლობის სამინისტრო იყო და ზუსტად ახლა არის ამისთვის ხელსაყრელი მომენტი. სამინისტროების შეცირება რომ მოხდა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების სამსახური ჩამოაცილეს და მთავრობის ადმინისტრაციას დაუქვემდებარეს, რომელსაც კახიშვილი ხელმძღვანელობს. იქ უკვე დარჩა ინფრასტრუქტურა, ანუ ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა და მშენებლობის დეპარტამენტი. დაარქვან ბარემ მშენებლობის სამინისტრო და გახსნან სამშენებლო ეკოლოგიური უსაფრთხოების დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ აგებს პასუხს ტყვია იქნება თუ სხვა ტოქსიკური გამონაბოლქვი და რადიაცია. ამ საქმეში ჟურნალისტებმაც უნდა დაგვიჭირონ მხარი და მთელმა საქართველომაც, თუ გვინდა, რომ ამ ჭირს გადავურჩეთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

„ლომი, იქედნე, გველი უფრო დიდსულოვანნი და თავმდაბალნი არიან ამპარტავან ეპისკოპოსებთან შედარებით, რომლებშიც სიყვარულის ნაპერწკალიც კი არ არის. კარგად შეხედე და შენ ცხვრის ტყავში მგელს აღმოაჩენ. და თუ იგი მგელი არ არის, მაშინ დამიმტკიცოს ეს არა სიტყვებით, არამედ საქმით. ჩემთვის ფასი არა აქვს იმ სწავლებას, რომელიც ეწინააღმდეგება ცხოვრებას... მაგალითად, მღვდლები უმწეოებს ლომებივით ექცევიან, ხოლო ძლიერებს – ძაღლებივით, რომლებიც ყველგან ყოფენ ცხვირს და უფრო მეტად გავლენიანი ადამიანების კართან არიან ატუზულნი, ვიდრე ბრძენი ადამიანების კართან. ერთი თავისი კეთილშობილური წარმომავლობით ტრაბახობს, მეორე – მჭევრმეტყველებით, მესამე – სიმდიდრით, მეოთხე – ყოვლისშემძლე ახლობლებით, ხოლო ვისაც არაფერი აქვს სატრაბახო, თავისი ცოდვებით მოაქვს თავი“.

წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი

რას მალავს მეუფე იაკობი?

გასაიდუმლოებული ათი წელი მეუფე იაკობის ცხოვრებიდან

გასულ კვირას **მეუფე ანტონმა (ბულუხია)** წმინდად იმერული კილოთი ბრძანა: არ გავჩერდები საქართველოში თუ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იქნებაო.

ბოდბელი მეუფე იაკობი (იაკობაშვილი) უფრო შორს წავიდა და პრეზიდენტობის კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს კანაფის დედოფალი უწოდა.

ამ მეუფეებს არც **შევარდნაძის** დროს გამოუხატავთ პროტესტი, არც სააკაშვილის დროს უცდიათ საქართველოდან წასვლა, როცა სინოდალურ განჩინებებს ბოკერია, უგულავა და ძმანი მათნი უწერდნენ, არც **მარგველაშვილის** პრეზიდენტობისას გასჩენიათ პროტესტის გრძნობა და რაღა **სალომე ზურაბიშვილის** გაპრეზიდენტება გახდა მაგათვის მეორედ მოსვლა და აპოკალიპსი, აი, ეს არის საინტერესო.

რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას რომ ეს მეუფეები ღვთის კი არა, **სააკაშვილის** სისხლიანი რეჟიმის მსახურები იყვნენ, მისგან იღებდნენ სუბსიდიებს და დივიდენდებს სიჩუმისთვის და თანხმობისთვის ქართველი ხალხის ძარცვა-გლეჯის კურთხევაში?!

მაშინ ზოგი სააკაშვილს კოცნიდა გულ-მკერდზე და ხატების გვერდით იმ არანორმალურის პორტრეტი ეკიდა თითქოს წმინდანი ყოფილიყოს, ზოგი როლანდ ახალაიას აძლევდა რეკომენდაციას პატრიარქთან – ჯილდო რომ მიეღო, ზოგი **სანდრა რულოვსს** ნათლავდა და ზოგიერთი **ბაჩო ახალაიას** აღსარებებს იბარებდა.

მაშინ რატომ არ გამოვიდა არც ერთი მღვდელთმთავარი და არ გააპროტესტა, რაც ხდებოდა 10 წლის განმავლობაში?

ამაზე უპასუხებენ: ვლოცულობდით, ბატონო, ხელისუფლებას ღმერთს ვავედრებდითო.

კი, ასე იყო: მწამებლებსა და ჯალათებს ეკლესია ყოველ დილით ლოცავდა და მრევლსაც აიძულებდა სანთლები დაენთოთ მიშას სიცოცხლისათვის.

თუმცა ყველამ ყველაფერი კარგად იცის. **მეუფე იაკობზე (იაკობაშვილი)** ერთმა დიდი ხნის მრევლმა, ასაკოვანმა კაცმა მითხრა: მისი სწავლება არც ქრისტიანობაა და არც იუდაიზმი, ეგ არის რაღაც ჰიბრიდი, მიშას დემოკრატიასავით არისო.

ბოდბელი მღვდელმთავარი მას შემდეგ გახდა საზოგადოების განსაკუთრებული დაინტერესების ობიექტი, რაც საპატრიარქოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად შარშან ნოემბერში ვაშინგტონში იმყოფებოდა, როგორც მაშინ თქვეს, ინტერ-რელიგიურ შეხვედრებზე და კონფერენციაზე დასასწრებად.

დელეგაცია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მუსლიმთა თემის, ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ეკლესიის და სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმოამდგენლებისგან შედგებოდა. ვიზიტი განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD-ს) ინიციატივითა და ორგანიზებით შედგა.

ვაშინგტონში დაწყებული მჭიდრო „მეგობრული“ ურთიერთობა ამიერკავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის – ეპისკოპოს **ჯუზეპე პაზოტოს** სტუმრობით გაგრძელდა ბოდბეში, მეუფე იაკობთან...

არადა, სჯულის კანონის მიხედვით, აკრძალულია მართლმადიდებელმა სასულიერო პირმა არათუ სტუმრად მიიღოს, არამედ პური გატეხოს არამართლმადიდებელთან, რომელიც წმინდა სამების, როგორც ერთარსების მგმობელი და უარმყოფელია...

მაგრამ მოუსმინეთ, რას ამბობს მეუფე: „არის რაღაცა, რასაც არ დათმობს ადამიანი, ხო? არის რაღაც, რასაც არ დავთმობთ, თუ საჭირო გახდა [კონკრეტული ნაბიჯები] რა პრობლემააა, მარტო ქადაგება არა, რა“...

„2012-ში მე ვერ ვიფიქრებდი, რომ ასე საუბარი მომიწევდა...

ჩვენ არ ვართ რევოლუციონერები, ჭკვიანი ხალხი ვართ და შეგვიძლია ისე წყნარად გავაკეთოთ ყველაფერი, არც იცოდნენ, რას ვაკეთებთ.

კეთილი ინებონ და გამოფხიზლდნენ, გეუბნებით რა, სხვებიც ყოფილან, უფრო ძლიერად ყოფილან რა, შევარდნაძე იყო, უფრო ძლიერად იყო, სააკაშვილი იყო, უფრო ძლიერად იყო“... – განაცხადა მარიხუანის ლეგალიზაციის საკითხის განხილვის პერიოდში ქორეპისკოპოსმა.

დააკავირდით მისი მეტყველების სტილს: „გეუბნებით, რა“, „მარტო ქადაგება არა, რა“, – ჰგავს ეს ტონი ეპისკოპოსის მეტყველებას?

მუქარას უფრო ჰგავს, ჩემი აზრით, რომელიც დღევანდელ დღეს ისე უადგილოა, როგორც ღორის თავ-ფეხი სამარხო სუფრაზე.

პატრიარქის ქორეპისკოპოსი **მეუფე იაკობი საქმიანი კაცია. ის წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის დარიალის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ფონდის ხელმძღვანელი გახლავთ და ამავე დროს** საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებულ საჯარო ინფრომაციაში, რომელიც საქართველოს საპატრიარქოსთან დაკავშირებული ბიზნეს-კომპანიები და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას განიხილავს, წერია:

„დარიალის ხეობაში საეკლესიო კომპლექსის მშენებლობაში დახმარების მიზნით აღნიშნულ ფონდთან ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკუთრებაში არსებულმა „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ 2 მილიონი ლარის საერთო ღირებულების ოთხი ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულებათა უმეტესობა 2011 წლის პირველ ნახევარზე მოდის და მათგან უმსხვილესი (936,000 ლარი) ფონდს გამარტივებული შესყიდვების პროცედურების გზით მიენიჭა 2011 წლის 15 აგვისტოს“.

ბოდბელი მეუფე „ციანიდის საქმეშიც“ აქტიურად ფიგურირებდა.

იმ პერიოდში დაეჯახა აშკარად პატრიარქის სიძეს და დაცვის უფროსს **სოსო ოხანაშვილს** და, როგორც ამბობენ, ცემა-ტყეპაც გამართულა.

მერე საინფორმაციო საშუალებებთანაც დაადასტურა მეუფემ: კარგად მიიბერტყა ერთი ადამიანიო. ამ ერთ ადამიანში, ცხადია, ოხანაშვილს გულისხმობდა.

წლების წინ „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ სამთავროს დედათა მონასტრის ყოფილ მორჩილთან, რომელიც ამბობდა: საპატრიარქოში იარაღის ტრიალი იყო, არა მე ვარ უფრო ადრინდელი მღვდელმსახური და არა მეო.

მაშინ ცოტა არ იყოს, მეეჭვებოდა ამ ამბის სისწორე, მაგრამ ახლა ვხვდები, ესენი არაფერზე რომ არ დაიხევდნენ უკან.

სამწუხაროდ, დღეს უკვე ლაპარაკობენ იმაზეც, რომ ბოდბელი ქორეპისკოპოსი მანქანის მოპარვისთვის არის ნასამართლევი და ეს კიდევ არაფერი – მეუფე იაკობი „მხედრიონის“ წევრი ყოფილა და სამოქალაქო ომის დროს თბილისის კომენდანტის გელა ლანჩავას მოადგილე. ავტომატით დადიოდა თურმე ქალაქის ქუჩებში.

რამდენიმე ხნის წინ სოციალურ ქსელში ერთი იღუმენის მოწოდებას წავაწყდი. ბერმონაზონი ილია ვაშაკიძე მეუფე იაკობს მკვლელს უწოდებდა და ეკლესიის გახლეჩაში ადანაშაულებდა. აი, რას წერდა მღვდელმონაზონი:

“ყოვლად სამღვდელონო მიტროპოლიტნო, მთავარეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო, პატიოსანნო მღვდელნო, ქრისტეს მიერ დიაკონნო, სამონაზვნო დასნო ზიარნო დედაეკლესიისა, ქრისტეში საყვარელო ერო, მოგმართავთ რა, პირველ რიგში, უმორჩილესი თხოვნითა და ქრისტესმიერი სიყვარულით, სასწრაფო რეჟიმში მოვითხოვოთ პატრიარქის ჩამობრძანება საქართველოში, რათა მიხედოს საქმეს, რომელიც ქორეპისკოპოსმა იაკობმა გააფუჭა და ეკლესია პოლიტიკური ნიშნებით შუაზე გაყო, საერთო ძალებით აღვკვეთოთ ქორეპისკოპოს იაკობ იაკობიშვილის პოლიტიკური თარეში ამბიონზე, გამომდინარე იქედან, რომ იგი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება წმიდა სინოდის განჩინებებს, რაც საეკლესიო კანონიკით დასჯადია და აღვივებს შუღლს ხალხთა შორის, რაც სისხლის სამართლებრივადაა დასჯადი, ენატრება რა საბჭოთა კავშირის რეჟიმი და ძველბიჭური გარჩევები, რასაც თავადვე ადასტურებს ამბიონიდან. **მოგიწოდებთ, ზემოთ ხსენებულ ქორეპისკოპოსს არ მიმართოთ არანაირ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია აღსარების საიდუმლოსთან და მოვითხოვოთ გამოაშკარავდეს მისი ბიოგრაფიის 10 წელიწადი.** ეს მოთხოვნა თანხვედრაშია მოციქულების მიერ დადგენილ კანონთან. განსაკუთრებით კი სამხედრო პროკურატურის მიერ გამოძიებულ იქნას კონსტანტინე და კახაბერ იაკობიშვილების (კონსტანტინე მეუფე იაკობია, კახაბერი კი მისი ძმა) 1992 წლის ივლისისა და აგვისტოს დისლოკაციისა და მათი დანაშაულებრივი ქმედებების დეტალური ცნობები. მათი სახელები შავი ასოებითაა ჩასაწერი საქართველოს ისტორიაში...

...ეხლა დამირეკოს, რატომ არ მირეკავს არ გაინტერესებთ? ვთავაზობ მეუფე იაკობს დამირეკოს ეხლა და დამირეკოს სასწრაფოდ. ვერ მირეკავს? ეს იმას ნიშნავს, მას, მას და პიტალო კახას ერისკაცობაში ბირჟაზე ჩემს გვერდით არ დავიყენებდი. კიდევ 15 წუთი ველოდები მის ზარს. თუ არ დარეკავს, რა განცხადებებს გავაკეთებ კიდევ, თვითონ უფრო კარგად იცის. მთელი საქართველო კი უფრო კარგად გაიგებს“.

ჩვენ ცხადია, არ ვიცით, რა საიდუმლო არგუმენტები შეიძლება ჰქონდეს იღუმენს, მაგრამ ვითვალისწინებთ ჟურნალისტის მოვალეობას – მან კატა უნდა დაინახოს ბნელ ოთახში და დაიჭერენ თუ არა მას, ეს ჩვენს პრეროგატივას სცილდება. არც ის არის ჩვენი მიზანი დავამტკიცოთ, ნამდვილად იყო „მხედრიონელი“ მეუფე იაკობი, არის თუ არა მკვლელი, მოიპარა თუ არა რაიმე, ან შეგნებულად ხლეჩს თუ არა ეკლესიას, საქმე იმაშია, რომ ჩვენ გვაქვს ეჭვი და არსებობს ჭორი, რომელიც ძალიან ხშირად არ შეიძლება სიმართლის მარცვალს არ შეიცავდეს.

პატრიარქი აცხადებს: ნუ ჩაერევით პოლიტიკაში მღვდელმსახურებო, ეკლესია ყოველთვის ნეიტრალური იყო, შეინარჩუნეთ ზომიერებაო, მაგრამ მეუფე იაკობი კვლავ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს ხან საჯაროდ, ეთერში, ხან ამბიონიდან მრევლისთვის და თან დასძენს, პატრიარქის მოწოდება მე არ მეხებოდა, მე არ ვქადაგებ პოლიტიკურადო.

თუმცა საწინააღმდეგოს ამტკი-

10 გვ. →

მსოფლიოს ნარკომაფია მართავს



პაბლო ესკობარი – მსოფლიო მასშტაბის ნარკობარონი, და ამავე დროს ამერიკული სპეცსამსახურებს სპეცაგენტი?!

პაბლო ემილიო ესკობარ გავირია, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და სასტიკი კრიმინალი 1949 წელს კოლუმბიის პატარა ქალაქ როინგეროში დაიბადა. „მოღვაწობა“ წვრილმანი ქურდობით დაიწყო, საფლავებს ძარცვავდა, შემდეგ ძვირადღირებული ავტომანქანების გატაცება-დაშლა-რეალიზაცია დაიწყო, ამ „ბიზნესიდან“ მდიდარი კოლუმბიელების გატაცებაზე გადავიდა, საბოლოოდ კი ნარკობიზნესში ჰპოვა „ნავსაყუდელი“. 24 წლის ასაკში სამ მსხვილ ნარკომოვაჭრესთან ერთად კოკაინის კარტელი დაარსა სახელწოდებით „მედელინის კარტელი“ და აშშ-ის მთავარი კოკაინით მომმარაგებელიც გახდა. 1989 წელს ჟურნალმა „ფორბსმა“ მისი ქონება სამ მილიარდ დოლარზე მეტად შეაფასა. ესკობარს ერთი დადებითი თვისება მაინც ჰქონია, კოლუმბიელ ღარიბებს ეხმარებოდა, ცდილობდა თავი კოლუმბიელ „რობინ ჰუდად“ წარმოეჩინა და აქედან გამომდინარე, ღარიბთა ფენაშიც ისევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც დამნაშავეთა სამყაროში. როგორ ყიდულობდა ესკობარი კორუმპირებულ კოლუმბიელ ჩინოვნიკებს, ხოლო „ურჩებს“ როგორ უსწორდებოდა უსასტიკესი მეთოდებით, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. 80-იან წლებში მან საკუთარი ბიზნესის ლეგალიზება გადაწყვიტა, 1982 წელს არჩევნებში კენჭი იყარა და კონგრესმენი გახდა, ბოლოს კოლუმბიის პრეზიდენტობაც მოუნდა, მაგრამ ბინძური წარსული გამოუქექეს. მართალია, პრეზიდენტი ვერ გახდა და პოლიტიკიდანაც გუდა-ნაბადი აუკრეს დონ პაბლოს, სამაგიეროდ სასტიკად იძია შური მისი ლუსტრირების ინიციატორ იუსტიციის მინისტრზე. ესკობარის მიერ მოწყობილ ტერორისტულ აქციებს, მის მტრებთან ერთად, უამრავი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა, მათ შორის ბავშვები. ესკობარის აღვირახსნილი თარეში ყელში ამოუვიდა, როგორც კოლუმბიის, ისე აშშ-ის ხელისუფლებებს და დაიწყო მასზე დევნა-თვალთვალი, სერიოზული ხიფათი, რომ იგრძნო, ესკობარმა ოჯახთან ერთად გერმანიას მიაშურა, მაგრამ ამერიკის ხელისუფლების ჩარევით, გერმანიუმ უარი უთხრა თავშესაფარზე, მისი თვითმფრინავი ჰაერიდან მიაბრუნეს კოლუმბიისკენ. საბოლოოდ, იგი 44 წლის ასაკში საკუთარ სახლში მოკლა პოლიციის სნაიპერმა. ესკობარს მეუღლე და ორი შვილი დარჩა, ვაჟი ხუან ესკობარი და ქალიშვილი მანუელა, რომლებიც მამის სიკვდილის დროს არასრულწლოვნები იყვნენ. ესკობარის ოჯახი მოგვიანებით არგენტინაში გადავიდა საცხოვრებლად, ხუანმა სახელი და გვარი შეიცვალა, სებასტიან მაროკინის სახელით ცხოვრობდა წლების განმავლობაში. სახელგვარნაცვალი თავისუფალი ცხოვრებით კი ტკბებოდა, სადაც აღარ იყო სროლები და მუდმივი შიში, მაგრამ თავს მაინც არ თვლიდა ბედნიერად. მიუხედავად იმისა, რომ ხუანს მამა ძალიან უყვარდა, განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა მასთან, არ ამართლებდა მისი ცხოვრების წესს და განსაკუთრებულ სისასტიკეს. 2009 წელს ხუან ესკობარმა დედამისთან და „მედელინის კარტელის“ ორ მსხვერპლთან ერთად გადაიღო დოკუმენტური ფილმი „მამაჩემის ცოდვები“, ამ ფილმით მან მამამისის მსხვერპლთ და კოლუმბიელ ხალხს პატიება სთხოვა პაბლო ესკობარის საქციელის გამო. მიმდინარე წელს, რუსული პრესით გავრცელდა ინფორმაცია, რომ არგენტინელმა სამართალდამცავებმა ხუან ესკობარი და დედამისი ნარკომაფიის ფულის „გათეთრების“ ბრალდებით დააპატიმრეს. გამოძიების ვერსიით, ესკობარები ფინანსების ლეგალიზებაში ეხმარებოდნენ კოლუმბიელ ნარკობარონ ხოსე პიედრატე სებალოსს, რომელიც არგენტინის ციხეში ზის და აშშ-ში ექსტრადიციას ელოდება. ამ საქმეში ლეგენდარული სამხრეთ ამერიკელი ფეხბურთელი მაურინიო სერნაც ყოფილა გარეული.

ერთი ძალზე საგულისხმო დეტალი, წლების წინ ჩემმა რესპოდენტებმა, გამოცდილმა პოლიციელებმა მითხრეს, პაბლო ესკობარი წლების განმავლობაში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ცსს) საიდუმლო თანამშრომელი იყო, ამის წყალობით გამდიდრდა და მოიპოვა განუსაზღვრელი უფლებები. ოპერატიული ინფორმაცია გვქონდა, რომ 90-იან წლებში სომხეთში თვითმფრინავით შემოდიოდა ესკობარის კოკაინი. არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, ორი ცნობილი „მხედრიონელის“ მკვლელობაში, რომლებიც თბილისის ცენტრში ავტომანქანში ჩაცხრილეს, ესკობარის ხალხის ხელი ერიაო. ხუან ესკობარი თავის წიგნში „პაბლო ესკობარი დანაშაულის ადგილზე“ წერს, რომ მამამისი კოკაინის რეალიზაციით ცსს-თვის მუშაობდა, ამ ბიზნესიდან შესული ფულით იმ დაჯგუფებებს აფინანსებდნენ, რომლებიც ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში კომუნიზმს ებრძოდნენ. მამაჩემი ამ სპეცსამსახურისგან ყიდულობდა ნარკოტიკების მიწოდებაზე კონტროლს, ასე რომ, მარტო ის არ შოულობდა ნარკობიზნესით ფულსო.

ტრანსნაციონალური კრიმინალი და საქართველო

პროფესიონალმა „ოპერატივნიკმა“, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა დავით გაგნიძემ ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ქვეყანაში აშკარად იკვეთებოდა საერთაშორისო კრიმინალის არსებობის ნიშნები. ყველა ქვეყნის დამნაშავეთა სამყარო ცდილობს ე.წ. შეუმდგარ ქვეყნებში დაიმკვიდრონ სათანადო ადგილი, ასეთ ქვეყნებში იგულისხმება მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცე, მათ შორის, საქართველო. ადგილობრივი მოსახლეობა ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გარბის, სამაგიეროდ უამრავი უცხოტომელია აქ დასაქმებული, რომლებსაც მყარი ვალუტით უხდიან ხელფასს, ერთია, ვალუტის უზარმაზარი ნაკადი რომ გაედინება ქვეყნიდან და ლარი უფასურდება, საქართველო უფრო სერიოზული საფრთხის წინაშე დგას, ერთეული „იმპორტული“ თვითდასაქმებულების გარდა, თავად უცხოელ „ინვესტორებსაც“ თავიანთი ქვეყნებიდან შემოყავთ მუშახელი, რა წარსულისა და რეპუტაციისაა ეს სამუშაო „ძალა“, ამას არავინ აკონტროლებს, ისევე, როგორც მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს. სამაგიეროდ, ამ სამუშაოში მათ კოლოსალურ თანხებს უხდის ხელისუფლება, არც იმას ამოწმებენ, რამდენად შეესაბამება ეს ფული რეალობას. გავა რაღაც პერიოდი და სკანდალი ატყდება ხოლმე დიდი ფულის „მოხსნასთან“ დაკავშირებით, მაგრამ მაშინვე მიაჩუმათებენ. ინვესტორის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში თაღლითებთან გვაქვს საქმე.

ეთნიკური კრიმინალური დაჯგუფებები იქ მიდიან, სადაც ფული „კეთდება“. ეს თურმე მსოფლიო პრობლემაა, იგივე რუსეთში ჩინელების გარდა, უკვე ნიგერიელებისა და ვიეტნამელების დაჯგუფებების პრობლემა დამდგარა და ეს უკანასკნელნი უკვე საქართველოშიც ჩამოდიან. რესპოდენტის განცხადებით, უცხოელმა კრიმინალებმა ჩვენზე კარგად იციან, სად „კეთდება“ დიდი ფული, რადგან მათი „უფროსობა“ კონკრეტული ქვეყნების სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან. ეს ხალხი რომ დაიჭირონ, ყველა სპეცსამსახურის ექსთანამშრომელი იქნება, ყოფილი სპეცსამსახურელი კი არ არსებობს, მით უმეტეს საზღვარგარეთ. „აბრეშუმის გზის“ მატარებელმა უკვე გაიარა საქართველოში, ასე რომ ეთნიკურ კრიმინალურ დაჯგუფებებსაც უნდა ველოდოთ, თუ უკვე არ არიან, თუნდაც უზბეკური, რადგან საქართველო დიდი ხანია ნარკოტრანზიტული ქვეყნად ითვლება. კიდევ შეიქმნება ასეთი დაჯგუფებები, ჩამოყალიბდება ჩინური მაფიის „ტრიადის“ ე.წ. ფილიალი, მით უმეტეს, ამისთვის არსებობს ფონი, უამრავი ჩინელია საქართველოში. სავარაუდოდ, ნიგერიელებსაც აქვთ შექმნილი საკუთარი კრიმინალური დაჯგუფება. ბოლო ხანს, ყველას ირანელმა ნარკოიმპორტიორ-რეალიზატორებმა აჯობეს. ირანში ეს დანაშაული სასტიკად ისჯება, ამ კუთხით საქართველო „ოაზისია“, ალბათ ამ მიზეზითაცაა გამოწვეული ირანელების ასეთი მოძალება, რომლებიც მასობრივად ყიდულობენ უძრავ ქონებას, განსაკუთრებით ქართულ მიწებს.

ახლა როცა ათასი ჯურის უცხოტომელი მოაწყდა ქვეყანას, ბუნებრივია, დანაშაულის ალბათობამ იმატა. ჩვენმა უსაფრთხოების დაცვისა და სამართალდამცავმა სტრუქტურებმა, თუ არ დაუწყიათ, სასწრაფოდ უნდა დაიწყონ ამ კუთხით ინტენსიური მუშაობა, რასაც გამოცდილი, კვალიფიციური სპეციალისტები ჭირდება, რადგან ტრანსნაციონალურ კრიმინალში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები არიან ჩართულ-

10 გვ.

რას მალავს მეუფე იაკობი?

8 გვ.

ცებს ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ჯერ კიდევ თვითმმართველობის არჩევნების დროს მიუთითებდნენ კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოს იაკობს: საკვირაო ქადაგების დროს კანონსაწინააღმდეგო აგიტაციის ნიშნების შემცველი პოლიტიკური მოწოდებები გააკეთაო. მრევლს მოუწოდებდა, აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა თვითმმართველობის არჩევნებში და არ დაეშვათ კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის გამარჯვებაო.

ძალიან მერყეობს ეს ჩვენი მეუფე, რაღაც, ძალიან...

აბა, რას უნდა ნიშნავდეს ის განცხადება, რაც მან ამერიკაში ვიზიტის მერე გააკეთა: „ამერიკა ის ქვეყანაა, რომელსაც ჩვენთვის არ უღალატიაო“?

რელიგიის ისტორიისა და წმინდანების ნაშრომების გათვალისწინებით, მეუფე რუსეთზე სხვა რამეს უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ...

საბჭოთა კავშირის პირობებში აღზრდილი იერარქიის მემკვიდრე სასულიეროებმა არაერთხელ დაამტკიცეს, რომ მათი ხელდამსხმელი



არაფერზე ფიქრობდა, გარდა სასულიერო პირთა რაოდენობისა.

გარკვეული დროის წინ საინტერესო ინფორმაციას წავაწყდი, სადაც იუწყებოდნენ, რომ ბულგარეთში საეკლესიო კრიზისი მძვინვარებდა.

სასულიერო პირთა და მრევლის ნაწილი იმ მიტროპოლიტების გადადგომას მოითხოვდნენ, რომელთა საბჭოთა უშიშროების ორგანოებთან და სამხედრო დაზვერვასთან თანამშრომლობაც სპეციალურმა სახელმწიფო კომისიამ დაადგინა.

შედეგმა მრევლი შეძრა. სპეცსამსახურებთან კავშირში არ აღმოჩნდა თხუთმეტიდან მხოლოდ ოთხი მართლმადიდებელი მიტროპოლიტი, მათ შორის პატრიარქიც. დანარჩენები **КГБ**-სთან სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობდნენ. ბულგარეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ლუსტრაციის დაწყებისთანავე მიიღო გადაწყვეტილება, ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოების დეპარტამენტისთვის გადაეცა ყველა აუცილებელი მასალა, რომელიც გადაბირებული სასულიერო პირების შესახებ მოეპოვებოდა.

ეს ინფორმაცია იმის დასადასტურებლად მოვიტანე, რომ ლუსტრაცია არა ხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სასულიერო პირებშიც უნდა მოხდეს და გაირკვეს ბოლოს და ბოლოს, ვინ რატომ აქტიურობს ასე თავგამოდებით პოლიტიკურ ასპარეზზე...

●

2003 წელს **ბოდბელი ეპისკოპოსი კონსტანტინე იაკობაშვილი**, მეუფე იაკობი ბერად აღიკვეცა და მერე უკვე 2010 წლიდან იწყება მისი იერარქიული სვლა ზემოთ, ეპისკოპოსის ტიტულამდე.

მოარული ხმებით, ქორეპისკოპოსს პატრიარქის ტახტისკენ უჭირავს თვალი.

უკვე მერამდენე პირზე ვწერ, რომლებსაც პატრიარქობა უნდა, მაგრამ რას ვიზამთ, სამწუხაროდ, ტახტი ერთია – მსურველი ბევრი.

●

„მინდა მასმედიას ვთხოვო – ძალიან ნიჭიერები ხართ ყველანი, ვინც ხართ, ნიჭიერად გვიტევთ ხოლმე ეკლესიას. რაც თქვენი საქმე არ არის, მოდით, ნუ ჩაერევით, თორემ იცით, სინამდვილეში რა ხდება. ეკლესიას მაინც ვერავინ დაამარცხებს... ჩვენს შიდა საქმეებს შიგნით გადავწყვეტთ, ჭორიკნები არა ვართ, გარეთ გამოვიდეთ და რაღაცები ვილაპარაკოთ. ნუ ჩაერევით იმიტომ, რომ თქვენც კარგად იცით, სინამდვილეში რა ხდება, ისევე, როგორც ჩვენ“. – ბრძანა ამას წინათ ბოდბელმა ქორეპისკოპოსმა.

მეტი თავმდაბლობა გმართებთ მეუფეო, ასე აშკარად მითითება – რაც თქვენი საქმე არ არისო და პატარა ბავშვივით თითის დაქნევა არ ეკუთვნის მრავალ ჭირ-ვარამგამოვლილ ქართულ მასმედიას!..

მაგრამ კვლავაც იმუქრებით, მეუფეო: თუ საჭირო გახდება, ჩვენს ძალას გაჩვენებთ, ნახევარ მილიონ ადამიანს გამოვიყვან ქუჩაშიო.

რისი ნახევარი მილიონის გამომყვანი ხარ შენ... — არ გამომყვანის ასე და ისეო, — დაუწერა ვიღაცამ ფეისბუკზე მეუფეს.

თუ ამდენი ადამიანის გამოყვანა შეგეძლოთ, გამოგეყვანათ, მეუფევ, იმ დროში, როცა „ნაცმოძრაობა“ უდანაშაულო ადამიანებს ქუჩაში ქათმებივით ხოცავდა, როცა 2500 ადამიანი ციხეში ჰყავდა გამომწყდეული, როცა ცხინვალიდან თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა და ადგილობრივ ქართველობას გავეშებული მტრის პირისპირ ღვთის ანაბარა ტოვებდა, როცა 12 აგვისტოს ჯერ კიდევ გაუციებელი ქართველი ბიჭების ცხედრებზე ცეკვავდა და „გამარჯვებას“ ზეიმობდა.

გამოგეყვანათ მაშინ, მეუფე, ის 500 000 ქართველი. 500 000-ს თავი დავანებოთ, 5000 კაცი გამოგეყვანათ, ჯანდაბას, 500 კაცი მაინც გამოგეყვანათ, ამდენს თუ ვერ მოახერხებდით, 50 კაცი გამოგეყვანათ, ან სულაც 5, ან მარტო გამოსულიყავით, თუ საქართველო ასე გიყვარდათ.

ხანდახან მგონია, რომ ნატოში და ევროკავშირში შესვლა სამოთხეში შესვლაში გეშლებათ, მეუფევ — სულ ნატო და ევროკავშირი რომ გაკერიათ პირზე, უფრო შორს რომ არ წავიდეთ, ერთი ის იკითხეთ, ბოლო წლების განმავლობაში რამდენი „ცხვარი“ დაკარგეთ, რამდენი ადამიანი გახდა იეღოველი, 50-იანელი, ბაპტისტი, რამდენი შეუერთდა სხვადასხვა მწვალებლურ სექტებს იმის გამო, რომ თქვენ, მეტწილად, სამშენებლო ბიზნესით იყავით დაკავებული, მიწების დაკანონებას და სიმდიდრის დაგროვებას ჩქარობდით და მრევლისთვის ვეღარ მოიცალეთ?

ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ამასობაში „მგელმა“ გააჩანაგა თქვენი ფარა და ვინც დარჩა, აღარც მათშია რწმენა, იმედი და სიყვარული.

ირანდა კალანდაძე
593 54 11 18

მსოფლიოს ნარკომაფია მართავს

9 გვ.

გარეულნი. ჩინელები რომ ჩამოდიოდნენ, მათ თავისი ქვეყნის სამსახურები გარკვეულ თანხას უხდიდნენ საქართველოში რომ დამკვიდრებულიყვნენ.

მსოფლიოს დიდი ხანია მაფიოზური სტრუქტურები მართავენ

ეს განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში გამოჩნდა. მაფია, იტალიური სიტყვაა და ორგანიზებულ დანაშაულობებს ნიშნავს, რომელმაც გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან, უკვე საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს მათივე ქვეყნების სპეცსამსახურები ხელმძღვანელობენ, საერთაშორისო დამნაშავეთა სამყაროს „საქმიანობა“ მთლიანად მათზეა დამოკიდებული. საბჭოთა კავშირის დაშლამ, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია პოსტსაბჭოთა კრიმინალურ სამყაროშიც. თუ მანამდე „კანონიერი ქურდი“ ქმნიდა თავის გარშემო დანაშაულებრივ ბანდას, 90-იანი წლებიდან კრიმინალური ე.წ. სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბება დაიწყო, რომელთაც გარკვეულ პირთა ჯგუფი ხელმძღვანელობს. აქ შედიოდნენ, როგორც სპეცსამსახურის წარმომადგენელი, ისე ბიზნესმენი, პოლიტიკოსი, ე.წ. კანონიერი ქურდი, ჩინოვნიკი და ა.შ. კრიმინალური სამყაროს მართვას თურმე ყოველთვის ცდილობდნენ სახელმწიფოების პირველი პირები და ხანდახან წარმატებითაც. ცნობილი იურისტის ჰელმუტ შტიბერის თეორიის მიხედვით ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში „კანონიერი ქურდის“ ორდენი, ამერიკელი განგსტერების მაფიოზური დაჯგუფებები, იაპონური „იაკუძა“, ჩინური „ტრიადა“ და სხვა დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომელთა მეშვეობითაც ახდენდნენ ხელისუფლებები ხალხის დამორჩილებას და დაკაბალებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვითონ სახელმწიფოები გახდნენ კრიმინალურები, რისი მაგალითებიც უამრავია უახლეს ისტორიაშიც. თუ პოსტსაბჭოთა კრიმინალურმა სამყარომ კაპიტალისტური ქვეყნების ზეგავლენით განიცადა ცვლილება, თავის მხრივ კაპიტალისტური სამყაროს კრიმინალურმა სფერომაც განიცადა ცვლილება პოსტსაბჭოთა სივრცის გამოისობით. იქ „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტი არ არის, მაგრამ ჩამოყალიბდნენ ე.წ. კარგი ბიჭები, რომლებსაც სერიოზული ავტორიტეტი გააჩნიათ და სიტყვაც ეთქმით.

რაც შეეხება საქართველოს, დღეს აქაც ყველა ქვეყნის კრიმინალი ცდილობს დაფუძნებას, რადგან, როგორც კი ქვეყანაში ვითარება მოწესრიგდება, მერე ძალიან ძნელი იქნება საკუთარი „ნიშის“ დამკვიდრება. უცხოტომელები ცდილობენ თავიანთი ე.წ. გეტოების შექმნას, დამცავი ბარიერების გაძლიერებას. ჩვენმა შს სამინისტრომ და უსაფრთხოების სამსახურმა რამდენი მოთხოვნაც არ უნდა გააგზავნოს „ექსპორტიორ“ ქვეყნებში, რომ მოგვაწოდონ ინფორმაცია ამ ხალხის შესახებ, არცერთი ქვეყნის სპეცსამსახური არ გვეტყვის სიმართლეს. უცხოტომელების პოზიციები სულ უფრო მყარდება, რადგან საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა, მედია და ე.წ. პოლიტიკოსები, რომლებიც საკმაოდ საეჭვო წყაროებიდან ფინანსდებიან, ყველაფერს აკეთებენ, რომ იმიჯი შეულახონ უსაფრთხოების დაცვისა და პოლიციის ოპერატიულ სამსახურებს, ღიად ეწევიან მათ დისკრედიტაციას. ე.წ. სამოქალაქო სექტორი და მედიასაშუალებების ნაწილი ძალიან კარგად ხვდება, რომ ამ აჟიოტაჟით ქვეყნის უსაფრთხოებას ძირს უთხრიან, მაგრამ მსუყე გრანტების გამო, ყველაფერს კადრულობენ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24



იდლიბის ყულფი

მსოფლიო პოლიტიკაში გასულ კვირას რამდენიმე მოვლენა მოხდა, რომლებიც ექსპერტებმა სენსაციადაც მიიჩნიეს. ყოველივე შაბათს ირანში დატრიალებულმა ტრაგედიამ გადაფარა. მართალია, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია და პენტაგონი ქვეყნისთვის მთავარ საფრთხედ, მათ შორის კიბერსივრცეში, ირანს, რუსეთსა და ჩინეთს ასახელებენ, მაგრამ ტერორიზმისგან არც ეს ქვეყნები არიან დაზღვეულნი. შაბათს ირანის ქალაქ ახვაზში სამხედრო აღლუმი გაიმართა. ღონისძიების მსვლელობისას უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა ავტომატური იარაღიდან გახსნეს ცეცხლი. შედეგად 29 ადამიანი დაიღუპა, 60 დაშავდა. თუმცა ვარაუდობენ, რომ მსხვერპლთა რიცხვი, შესაძლოა, გაიზარდოს, რადგან რამდენიმე დაჭრილის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ აშშ ტერორისტების მფარველობაში დაადანაშაულა. ტერაქტის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თავდასხმა საუდის არაბეთში არსებულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ განახორციელა. თუმცა, მოგვიანებით, ტერაქტზე პასუხისმგებლობა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა აიღეს. მიუხედავად ამისა, ირანის მხარე კვლავ აშშ-ს ადანასაულებს და აცხადებენ, ქვეყანაში გადატრიალებას გეგმავენო. ირანელებს აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნიკი ჰეილიმ უპასუხა. მისი განცხადებით, აშშ-ის მხარე არ აპირებს ირანის შინაურ საქმეებში ჩარევას და არც ხელისუფლების შეცვლის საკითხი დგასო. თავდამსხმელები ირანელებმა ადგილზე გაანადგურეს. ჰასან როუჰანის განცხადებით, გამოძიება მიმდინარეობს და ყველა, ვინც მომხდარ ტერორისტულ აქტთან არის დაკავშირებული, სასტიკად დაისჯება. რა გაგრძელება მოჰყვება მომხდარს, კვლავ დაიძაბება ვითარება რეგიონში თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს. სამეზობლოში სიტუაციის დაძაბვა ჩვენთვის, საქართველოსთვისა საზიანოა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტით პოლონეთის პრეზიდენტი ანჯეი დუდა სტუმრობდა მეუღლითურთ. დუდას ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი პოლონეთში აშშ-ის სამხედრო ბაზის განთავსების საკითხი იყო. ამერიკელი მიმომხილველები აღნიშნავდნენ, რომ დუდამ საკმაოდ დაიმცირა თავი ტრამპთან ლაქუცითო. სტუმარი დონალდ ტრამპს არწმუნებდა, პოლონეთში განთავსებული ბაზა რუსეთის წინააღმდეგ ციტადელი გახდებაო. ამის გარდა, შესთავაზა ბაზას „ფორტ ტრამპი“ დავარქვათ სახელადო. დუდა მზად არის, გაიღოს 2 მლრდ დოლარი ბაზის განთავსებისთვის. რუსეთის შესახებ კი ტრამპმა უპასუხა: „...ვთვლი, რომ რუსეთი აგრესიულად იქცეოდა. ისინი ძლიერ ძალას სცემენ პატივს. ყველაზე ძლიერები კი ახლა ჩვენ ვართ“.

დონალდ ტრამპმა დუდას ბაზის განთავსებაზე არაფერი უთხრა, საკითხი, ფაქტობრივად, ღიად დატოვა. ხოლო კომპანიებისთვის, რომლებიც გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობენ, სანქციების დაწესებას არ გეგმავს. ექსპერტებისთვის გაუგებარია, რამ გამოიწვია მისი მოსაზრების შეცვლა.

ჩინეთისთვის დაწესებული სანქციები უკვე სრული ძალით ამოქმედდა. ექსპერტები შიშობენ, აშშ-ჩინეთის ორმხრივი სანქციები შესაძლოა, ფართომასშტაბიან სავაჭრო ომში გადაიზარდოს და სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე მოახდინოს გავლენა. ტრამპს მოსალოდნელი სავაჭრო ომში აშშ-ის მხარე დაუმარცხებლად მიაჩნია. მისივე განცხადებით, ის ყველანაირად შეუშლის ხელს, რომ ჩინეთმა არ განავითაროს ტექნოლოგიები სხვა ქვეყნებში. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების გავლენა მცირდება და უკვე არაეფექტური გახდა. რა შედეგით დასრულდება აშშ-ჩინეთის (და არამარტო მათი), ფაქტობრივად, ეკონომიკური ომი, მალე გამოჩნდება. ერთი კი უნდა გავიხსენოთ — ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) თავისი პრეზიდენტობისას გაზარდა საბაჟო გადასახადი, მაგრამ ერთი წლის თავზე გააუქმა ეკონომიკური ზარალის გამო.

ორი კვირის წინ თეირანში გამართულ სამიტზე, სადაც ირანის, თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტები სირიის საკითხს განიხილავდნენ, რამდენიმე საკითხი ღიად დარჩა, რადგან რეჯიფ თაიფ ერდოღანი არ დაეთანხმა კოლეგებს. გასულ კვირას თურქეთის პრეზიდენტი სოჭში რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს ეწვია. მოლაპარაკება ორ პრეზიდენტს შორის დაძაბული რომ იყო, ამის შესახებ შეხვედრის ხანგრძლივობაც მეტყველებს — 4,5 საათი. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო. შეთანხმდნენ, 10 ოქტომბრამდე ყველა შეიარაღებულმა ოპოზიციამ, რომლებიც იდლიბის პროვინციაში იმყოფება, უნდა გაიტანოს მძიმე ტექნიკა, საარტილერიო დანადგარები. 15 ოქტომბრამდე კი თავად ტერორისტებმა უნდა დატოვონ პროვინცია. ამის გარდა, შეიქმნება დემილიტარიზებული ზონა სირიის სამთავრობო ჯარებსა და შეიარაღებულ ოპოზიციას შორის 15–20 კმ-ის სიღრმეში. კონტროლს მშვიდობის დამყარებაზე რუსეთისა და თურქეთის შეიარაღებული ძალები განახორციელებენ. ორი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელსაც ხელი მინისტრებმა მოაწერეს.

დასავლეთის პრესის მიმომხილველებმა რუსეთ-თურქეთის შეთანხმება მსოფლიო დონის სენსაციად აღიარეს. იდლიბში დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია ჯერჯერობით გადაიდო. ამით თურქეთმაც შვებით ამოისუნთქა, რადგან იდლიბის პროვინცია თურქეთს ესაზღვრება. ამის გარდა, ჟენევის პლატფორმაზეც გაგრძელდება მოლაპარაკება სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მომხრეებსა და ოპოზიციას შორის. სირიის კონსტიტუციაზე კი ასტანის ფორმატში იმსჯელებენ.

ექსპერტების შეფასებიოთ, იდლიბის ყულფი გაიხსნება და არ ჩაიჭრება ნაჯახით. აღნიშნავენ, რომ ერდოღანს არ აწყობდა იდლიბზე ფართომასშტაბიანი შეტევა, რადგან იქ არიან მებრძოლები, რომლებსაც თურქეთი მფარველობს. ამასთან, ადვილი შესაძლებელი იყო თურქეთისა და რუსეთის ჯარების პირდაპირი შეტაკება. იდლიბში იგეგმებოდა ქიმიური იარაღით შეტევის პროვოკაცია, რითიც გზა გაეხსნებოდა კოალიციის (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) ჯარებს, შეეტიათ სირიის სამთავრობო ჯარებისთვის. ქიმიური შეტევის პროვოკაციას ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია „თეთრი ჩაფხუტები“ ამზადებდნენ. მათ მოახერხეს და გადაიღეს კიდეც კადრები ვითომ განხორციელებული ქიმიური შეტევისა.

თურქეთის პრეზიდენტის შემდეგ სოჭს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ეწვია. ევროპარლამენტზე და ევროკავშირზე განაწყენებული ორბანი რუსეთზე ამყარებს იმედს. თუმცა, არც მანამდე იყო გულგრილი რუსეთის მიმართ.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მსოფლიო ელოდებოდა კორეის ნახევარკუნძულზე ფართომასშტაბიანი ომის დაწყებას. ექსპერტები ბირთვული იარაღის გამოყენებასაც ვარაუდობდნენ, ამჟამად ვითარება რადიკალურად არის შეცვლილი. წლეულს უკვე მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს ჩრდილოეთის ლიდერი კიმ ჩინ ინი და სამხრეთის პრეზიდენტი მუნ ჯინ ინი. გასულ კვირას მუნ ჯინ ინი ფხენიანში ჩავიდა. კიმ ჩინ ინი სტუმარს თვითმფრინავის ტრაპთან მეუღლის თანხლებით დახვდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ოფიციალურ შეხვედრაზე გამოჩნდა ჩრდილოელი ლიდერის მეუღლე.

მუნ ჯინ ინს მართლაც პომპეზური დახვედრა მოუწყეს. მოსახლეობა ფხენიანის ქუჩებში ორივე კორეის დროშებით და ყვავილებით იყო გამოსული. თვალშისაცემი იყო ორი ლიდერის შეხვედრა — ისინი ისე ჩაეხუტენ ერთმანეთს, თითქოს ახლო ნათესავები იყვნენ. აეროპორტიდან რეზიდენციისკენ ერთი მანქანით გაემართნენ. უსაფრთხოების წესები დაარღვიეს და ლიმუზინს ლუქი ახადეს, ფეხზე იდგნენ და მოსახლეობას ისე ესალმებოდნენ. პრეზიდენტების მეუღლეებმაც იოლად გამონახეს საერთო ენა და თბილად ბაასობდნენ. მუნ ჯინ ინის ვიზიტისას ბევრ ხელსეკრულებას მოაწერეს ხელი. თუმცა მთავარი სამშვიდობო ხელშეკრულება გახლდათ. ამის შესახებ კიმ ჩინ ინმა განაცხადა: „.. ჩვენ ხელი მოვაწერეთ სამშვიდობო დეკლარაციას, რომლითაც საბოლოოდ დასრულდა წყეული საომარი რიტორიკა“. თავის მხრივ, მუნ ჯინ ინმა მასპინძელს ერთიანი კორეის დროინდელი რუკა აჩუქა. კიმ ჩინ ინი საპასუხო ვიზიტს სეულში წლის ბოლომდე განახორციელებს. საინტერესოა, როგორ დახვდება სამხრეთის მოსახლეობა ჩრდილოეთის ლიდერს.

გია ბურდული
551 71 27 07

ძლიერი რეგიონები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG), ევროკავშირის ENPARD პროექტის „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით, აწყობს რეგიონალურ დასაქმების ფორუმს.

დასაქმების ფორუმის მიზანია დაეხმაროს სამუშაოს მაძიებლებს დამსაქმებლებთან კომუნიკაციასა და არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გაცვლაში. ფორუმის ფარგლებში წარმოდგენილნი იქნებიან ქვემო ქართლის რეგიონის მსხვილი დამსაქმებლები. ფორუმში მონაწილეობა შეუძლია ქვემო ქართლში მცხოვრებ ნებისმიერ სამუშაოს მაძიებელს.

ფორუმი იმართება RDFG-ის დასაქმების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება. პროგრამა უმუშევარ ადგილობრივ მოსახლეობას სოციალურ და შრომით ინკლუზიაში, კარიერის დაგეგმვასა და დასაქმებისთვის აუცილებელი უნარების განვითარებაში ეხმარება.

● მუნიციპალიტეტის მერიაში თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის (LAG) საერთო კრებაზე, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში, ასოციაციამ „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ და თეთრიწყაროს „ლაგის“ წევრებმა პირველი საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინეს.

შეხვედრაზე განიხილეს საგრანტო კონკურსის პროცესები, გაიმართა კონკურსის საბოლოო შედეგების კენჭისყრა-დამტკიცება. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე განიხილეს აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მეორე საგრანტო კონკურსის გამოცხადების პერიოდი და პირობები. შეხვედრას ესწრებოდნენ RDFG-ის წარმომადგენლები, თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის წევრები და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები.

პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფიქსირდა 264 იდეა და წარდგენილ იქნა 127 საპროექტო განაცხადი, აქედან სრული საპროექტო განაცხადით კონკურსში მონაწილეობას იღებდა 69 პროექტი. საბოლოო ეტაპზე შეფასების კომისიის წინაშე წარდგა 37 აპლიკანტი, ხოლო შეხვედრაზე კენჭისყრის შედეგად საბოლოოდ მხარი დაუჭირეს 37 პროექტს.

საგრანტო კონკურსის მიზანია, თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის (LAG) მიერ შემუშავებული და თეთრიწყაროს განვითარების სტრატეგიით დასახულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტში ცხოვრების დონისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ სტრატეგიიდან გამომდინარე, გრანტები გაიცემა სტრატეგიით დასახული პრიორიტეტების მისაღწევად.

პროექტის მიზანია სოფლის განვითარებაში ჩართოს განმახორციელებელი პირები და არა როგორც მოსარგებლეები. აღნიშნული მიდგომით შესაძლებელი ხდება სოფლის სამომავლო განვითარება, რისთვისაც კონკრეტულ ტერიტორიაზე იქმნება ადგილობრივი განვითარების ჯგუფები, როგორც პარტნიორობა კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორებს შორის.

პროექტის პარტნიორები არიან: აგროტექნოლოგიების ასოციაცია (ATA), ლიტვის განვითარების ჯგუფების ქსელი (VVGT) და ლიტვის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● ბოლნისის მუნიციპალიტეტი ყველაზე სახალხო და ყველაზე მასშტაბური დღესასწაულის –„ ბოლნისქალაქობისთვის“ ემზადება.

30 სექტემბერს დაგეგმილი ღონისძიება თავისი შინაარსით მრავალფეროვანი იქნება. ბოლნისი უამრავ სტუმარს უმასპინძლებს როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ისე გერმანიიდან და იტალიიდან. ღონისძიებები გადანაწილებულია სამ ძირითად დროზე და გათვლილია ყველა კატეგორიის ადამიანზე. ღონისძიებები გაიმართება პატარებისთვისაც.

ასე რომ, გელით არაჩვეულებრივი სანახაობა და საინტერესო კონცერტები.

ღონისძიებების სრული ჩამონათვალი:

14:00 „ბოლნისქალაქობის“ გახსნა

კულტურა: ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატების გამოფენა; წიგნის – „ბოვნისი, კატერინენფელდი, ლუქსემბურგი, ბოლნისი“ გამოფენა (ავტორი პეტრე დანელია); ბოლნისის მუნიციპალიტეტისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების ეთნოგრაფიული კუთხეები; სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინის, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ქართული ნუგბარის დეგუსტაცია-გამოფენა-გაყიდვა; ბოლნისის მუნიციპალური თეატრის წარმოდგენა; ზ. ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის ღია სივრცე; ბოლნისის კულტურის სახლთან არსებული შემოქმედებითი კოლექტივების ნამუშევართა გამოფენა და მცირე კონცერტები; ქუჩის თეატრის კოსტიუმირებული თეატრალური წარმოდგენა-კარნავალი; საბავშვო ატრაქციონები...

სპორტი: ჭიდაობა, მკლავჭიდი, ჭადრაკი, კარატე.

ტრადიცია: ყურძნის საზეიმო დაწურვა საწნახელში.

18:00 საათზე ფოლკლორული მუსიკის კონცერტი

მოწვეული არიან საქართველოში მოღვაწე შემოქმედებითი ჯგუფები სხვადასხვა რეგიონიდან. წარმოჩნდება ქართული ტრადიციული მუსიკის მაღალმხატვრულობა დიალექტებისა და მუსიკალური ჟანრების მრავალფეროვნებების მიხედვით: ანსამბლი „შუახევი“ – აჭარული ფოლკლორი შუახევიდან; ანსამბლი „შგარიდა“ – სვანური ფოლკლორი დმანისიდან; ანსამბლი „ძირიანი“ – რაჭული ფოლკლორი ონიდან; ანსამბლი „პატარა კახი“ – კახური ფოლკლორი თელავიდან; ანსამბლი „სათანაო“ – თუშური ფოლკლორი თბილისიდან; ანსამბლი „სახიობა“ – მეგრულ-იმერულ-გურული ფოლკლორი თბილისიდან; ანსამბლები „სიონი“, „ბოლნელა“ და „ორბელი“ – ქართლური ფოლკლორი ბოლნისიდან; ანსამბლი „Coro Fodom“ – იტალიური მუსიკა იტალიიდან (ლივინალონგო).

ბოლნისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება.

20:00 – ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“

ღონისძიების ორგანიზატორია ბოლნისის ა(ა)იპ კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ჰერეთისკარში მიმდინარე შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. პროექტი, რომლისთვისაც რეგიონალური განვითარების ფონდიდან 354320 ლარია გამოყოფილი, 2-კილომეტრიან გზაზე ასფალტბეტონის დაგებას ითვალისწინებს. სამუშაო ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

● მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტები, რომლებმაც წელს 100-პროცენტიანი გრანტი მიიღეს, მუნიციპალიტეტის მერმა სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა.

2018 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100-პროცენტიანი სახელმწიფო დაფინანსება კახეთის რეგიონში სულ 62-მა ახალგაზრდამ მოიპოვა. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტიდან შვიდი ახალგაზრდა გახდა გრანტის მფლობელი.

დაჯილდოების ცერემონია კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის, ირაკლი ქადაგიშვილის კოორდინირებით თელავის ისტორიულ-ეთნიკურ მუზეუმში გაიმართა. გუბერნატორმა გრანტის მფლობელ სტუდენტებს გამარჯვება საზეიმოდ მიულოცა და წარმატებები უსურვა. ღონისძიებაზე ყველა ახალგაზრდა საკუთარი მუნიციპალიტეტის მერმა სამახსოვრო საჩუქრით დააჯილდოვა.

„ვულოცავ ყველა ახალგაზრდას სტუდენტობასთან ერთად 100-პროცენტიანი გრანტის მოპოვებას. დაფინანსების მიღება ეს უკვე დიდი წარმატებაა. გისურვებთ, რომ ცხოვრების ახალი ეტაპი განსაკუთრებით საინტერესო და ნაყოფიერი იყოს თქვენთვის. განათლებული თაობა ჩვენი სიამაყე და ქვეყნის წარმატების საფუძველია“, – აღნიშნა ჯონდო მდივნიშვილმა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ მადონა ბატიაშვილმა ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად სოფელ მაჩხაანის თეატრი შენობის მდგომარეობის შესწავლის მიზნით დაათვალიერეს.

ეს ისტორიული თეატრი XIX საუკუნის მიწურულს ადგილობრივი ინტელიგენციის თაოსნობით აიგო. გენიალურმა ქართველმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა პირველი სპექტაკლი სწორედ მაჩხაანის სახალხო თეატრში დადგა.

● მუნიციპალიტეტში რთველი შეუფერხებლად მიმდინარეობს. წინა კვირის დაჯამებული მონაცემებით, მოკრეფილია 3200 ტონა საფერავი და 9500 ტონა რქაწითელი.

მუნიციპალიტეტის მერი გიორ-

ძლიერი საქართველოსთვის

დუშეთი

გი გოგილაშვილი და მერის პირველი მოადგილე მადონა ბატიაშვილი ყურძნის ჩაბარების პროცესს ადგილზე ეცნობიან.

მოსავლის, მათ შორის დაზიანებული ყურძნის, ჩაბარება მევენახეებს წნორის ყურძნის გადამმუშავებელ ქარხანაში შეუძლიათ.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● მთავრობის ახალი ინიციატივა: ლურჯი მოცვის, მაყვლის და ჟოლოს ინტენსიური ბაღების გაშენების მხარდასაჭერად, ცვლილებები შევიდა სახელმწიფო პროექტში „დანერგე მომავალი“. ბაღების თანადაფინანსების კომპონენტს დაემატა ახალი ქვეკომპონენტი – „კენკროვანი კულტურები“.

ქ. დუშეთის ილია ზაქაიძის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა ქვეკომპონენტის პირველი პრეზენტაცია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა შალვა კერესელიძემ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა რევაზ ასათიანმა დუშეთის კულტურის სახლში შეკრებილ მოსახლეობას ახალი ქვეკომპონენტის დეტალები გააცნეს.

განსაზღვრულ რეგიონებში დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 100 პროცენტი როგორც ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ისე მათი იმპორტის შემთხვევაში; 100 პროცენტით დაფინანსდება წვეთოვანი სარწყავი სისტემების ღირებულებაც და საჭიროების შემთხვევაში – ბაღის გაშენებისთვის საჭირო მასალებიც.

ფიზიკური პირის შემთხვევაში, ერთ ბენეფიციარზე დასაშვებია არანაკლებ 0,15 ჰა და არაუმეტეს 0,5 ჰა კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების დაფინანსება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (რომლის საკუთრებაშია მეპაიეებისგან პაის სახით შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების ფართობს განსაზღვრავს თითოეული მეპაიის მიერ შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რაოდენობის მიხედვით, თითოეულ მეპაიეზე არაუმეტეს 0,5 ჰა-ის გადაანგარიშებით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● ზუგდიდში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა მიმდინარეობს ქუჯისა და ლევან II დადიანის ქუჩებზე, რისთვისაც 295 433 ლარი იხარჯება.

სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მაიზერ ნანავა, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები.

● მაიზერ ნანავამ საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერიასთან ერთად დაათვალიერა მიმდინარე სამუშაოები, კერძოდ:

მოსახლეობის მომართვის საფუძველზე, ა(ა)იპ„ კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“ მდინარე ჩხოუშის კალაპოტს წმენდს;

შენგელიასა და ბერიას ქუჩებზე სანიაღვრე წყალსაწრეტი სისტემის მოწყობა-მოწესრიგება;

ლომოურისა და რიგის ქუჩებზე ღია და დახურული ტიპის სანიაღვრე წყალსაწრეტი სისტემის მოწყობა-მოწესრიგება.

სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 220 000 ლარამდე იხარჯება. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში

● სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ალექსანდრე მოწერელიამ, ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ მერიისა და გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერეს ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის შენობა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

განიხილეს შენობისთვის, მისი არქიტექტურისა და ტერიტორიული მდებარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ფუნქციის მინიჭების საკითხი.

ალექსანდრე მოწერელიამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად კუნძულისა და მალთაყვის სანაპირო ზოლი დაათვალიერა.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის ორგანიზებით„ აგროტური-2018“ მოეწყო. იგი მიზნად ისახავს სხვადასხვა რეგიონში აგრარული სექტორის გასაცნობად ფერმერებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების გაყვანას. პროექტის მონაწილეები მარტვილს სტუმრობდნენ.

აგროტურის მიზნობრივ ჯგუფს – მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს, ფერმერებსა და დაინტერესებულ პირებს – საოჯახო მარნის შექმნის ისტორიაზე, ამ მიმართულებით ნატურალური მეღვინეობისა და საოჯახო ტურიზმის განვითარების ტენდენციებზე ესაუბრა მეღვინე ქეთი ნინიძე. მან აღნიშნა, რომ „ოდა“ საოჯახო მეღვინეობაა, რომლის პირველი მოსავლის ღვინო 2015 წელს დაიწურა. „ოდას“ ვენახში ძირითადად გაშენებულია ოჯალეშისა და მცირე რაოდენობით ჭვიტილურის ჯიშის ვაზი. 2017 წელს მარანს ჯილაურას მეურნეობიდან გადაეცა ვაზის სხვა იშვიათი მეგრული და აფხაზური ჯიშებიც – კოლოში, დუდღუში, ლაკაიაჟი და აშუგაჟი. „ოდას“ ნიშაც სწორედ ესაა – დასავლეთ საქართველოს ვაზის ენდემური სახეობების სხვადასხვა მეთოდით წარმოება.

ამავე ტურის ფარგლებში მონაწილეებმა დაათვალიერეს სალხინოში მდებარე დადიანების უნიკალური მარანი, რომელიც მარტვილის ერთგვარი სავიზიტო ბარათია.

ტურის მონაწილეებმა დიდ ჭყონში გადაინაცვლეს, სადაც ქართული ჩაის მწარმოებელი საწარმოს შპს„ ჯი.ჯი.ჯი.კომპანი“ წარმომადგენელმა, ფერმერმა გელა გარჩაგოდაშვილმა მათ ჩაის მოვლა-მოყვანისა და წარმოების სრული ციკლი გააცნო, ჩაის პლანტაციები დაათვალიერებინა და იმის შესახებ ისაუბრა, თუ რა ახალი პროდუქტი შესთავაზა მარტვილელმა ჩაის მწარმოებელმა ქართულ და უცხოურ ბაზარს.

„აგროტური –2018“-ის ძირითადი მისიაა სოფლის მეურნეობის დარგში დაგროვილი გამოცდილებების ურთიერთგაზიარება, ურთიერთთანამშრომლობა, ერთობლივი სამომავლო პროექტების დასახვა და განხორციელება.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა დაბა ჩხოროწყუსა და სოფელ ნაკიანში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩხოროწყუს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროს დავით გახარიასთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

მოსახლეობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს თავის საჭიროებებზე დაუფარავად ესაუბრა. ადგილობრივებმა ითხოვეს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. მათ ძირითად პრობლემად დაასახელეს აზიური ფაროსანა და ისაუბრეს მავნებლის მიერ მიყენებულ ზარალზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით დათო გოგუამ და დავით გახარიამ მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდეს თხილის სოკოვანი დაავადებებისა და აზიური ფაროსანის წინააღმდეგ მიმდინარე და გასატარებელ ღონისძიებებზე.

დათო გოგუამ ადგილობრივებს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარა და მათ სამოქმედო გეგმა გააცნო.

დმანისის მუნიციპალიტეტში

● მოსახლეობას შევახსენებთ, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს „ტრანსპორტით მომსახურების 2018 წლის მუნიციპალურ პროგრამას“, რაც გულისხმობს უფასო ტრანსპორტირებას როგორც ქ. დმანისიდან ქ. თბილისის მიმართულებით, ისე ქ. თბილისიდან ქ. დმანისისკენ.

უფასო ტრასპორტირების პროგრამით სარგებლობა შეეძლებათ სტუდენტებს, ვეტერანებსა და უსინათლოებს.

ორშაბათი-პარასკევი, დილის 9 საათი: დმანისი-თბილისი;

ორშაბათი-პარასკევი, 3 საათი: თბილისი-დმანისი;

კვირა, საღამოს 5 საათი: დმანისი-თბილისი.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● თამარისში გერმანული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საკითხი: მერიაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებსა და სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის წარმომადგენლებს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრა.

მხარეებმა კიდევ ერთხელ დეტალურად განიხილეს თამარისის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის საკითხი, იმსჯელეს არსებული გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გადარჩენისა და გერმანული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით შემუშავებული პროექტების შესახებ.

შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ერთ-ერთ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის ისტორიულ ნაწილში გერმანელი პარტნიორების დახმარებით გერმანული საცხოვრებელი სახლის შესყიდვას. სამომავლოდ იგი შეიძენს საზოგადოებრივ ფუნქციას და სასარგებლო იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

შეხვედრაზე განიხილეს თამარისის ისტორიულ ცენტრში გამავალ ქუჩაზე ტრაუბენბერგის სახელის დარქმევის საკითხიც.

სამუშაო შეხვედრის პროცესში მხარეებმა შეაჯერეს პოზიციები აღნიშნული იდეების განხორციელებისთვის, გამოთქვეს სამომავლო გეგმების ერთობლივად განხორციელების მზადყოფნის სურვილი.

სენაკი

ჩვენი ცივილიზაცია უფსკრულისკენ მიექანება

დანიაში ვიზიტით მყოფი საფრანგეთის პრეზიდენტის, **ემანუელ მაკრონის** განცხადებამ, რომ ნამდვილი დანიელები და ნამდვილი ფრანგები არ არსებობენ, და მისმა კრიტიკამ იმ ხალხის მიმართ, ვინც ღია არ არის დანარჩენი მსოფლიოს მიმართ და ცვლილებებს ეწინააღმეგება. დანიელ სტუდენტებს მაკრონმა განუცხადა "თქვენი ენაც კი მხოლოდ დანიური არ არის, ის ევროპულია. იგივე მოცემულობაა ფრანგების შემთხვევაშიც,"ამავე დროს მაკრონმა გააკრიტიკა ფრანგები, რომლებიც ღია არ არიან დანარჩენი მსოფლიოს მიმართ და ჯიუტად ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს...საზოგადოების აზრი და დარდიც

როგორც ჩანს გლობალიზაციის „სინათლით"დაბნელებულ ევროპელ „პირველებსაც"ნაკლებად აღელვებთ...

ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი **პიერ რაბი** ხუთიოდე წლის წინ თითქოს მარტივად, მაგრამ საინტერესოდ უხსნიდა გატანჯულ საზოგადოებას, რომ კრიზისი ადამიანურია, სულიერია, ღრმაა, გარეგნულად, ერთის შეხედვით ფინანსურია, მაგრამ მიუხედავად ამისა უნდა გავიგოთ რომ ის უწინარეს ყოვლისა შინაგანი და ფსიქოლოგიურია, მისი საწყისი ღრმა მიზეზები არის ადამიანის შიგნით, მის სიღრმეში. ეს მიზეზებია სულიერ და კულტურულ ღირებულებათა, ეთიკის, საერთო აზრის, საერთო პრობლემების, საერთო ამოცანების და საერთო ინტერესის განცდის დაკარგვა და ესაა ადამიანის მრავალი ნაკლის სიხარბის, სიძუნწის, ეგოიზმის, მომხვეჭებლობის, ძალაუფლებისკენ სწრაფვის, სხვებზე ბატონობის, სხვათა გაკონტროლების სურვილის შედეგი. დღევანდელი ადამიანი არსებითად გადაიქცა მატერიალისტ, ასოციალურ და ეგოისტ, ათეისტ ვინმედ და მან დაივიწყა ან უარყო თავისი ფუნდამენტური ღირებულებები. დღევანდელი ადამიანი ნაკლებად გულწრფელია და ის ჩამოშორდა ეთიკას. ის აღარაფრად აგდებს ღვთაებრივ ძალებს და თაყვანს სცემს საკუთარ თავს. დღევანდელი ადამიანი მოხიბლა და გადააგვარა მისმა საკუთარმა სურვილებმა, მისწრაფებებმა, გარყვნილობამ. დღევანდელი ადამიანის მიზანია სიამოვნება და მატერიალური სიმდიდრის მოხვეჭა იმდენად რამდენადაც ეს შესაძლებელია. მან დაივიწყა მთავარი: ბედნიერება არის შინაგანი მდგომარეობა, სინდისთან, გონიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული რაღაცა რასაც ვერ იპოვი გარე სამყაროში და მით უმეტეს ვერ იპოვი უსასრულო თავაშვებულობა ავხორცობაში. ბედნიერება არის ბუნებასთან, ჩვენს დედა-მიწასთან, სამყაროს ყველა არსებებთან და ძალებთან ჰარმონიის ნაყოფი. ჩვენი

ცივილიზაცია უფსკრულისკენ მიექანება და მას ვერაფერი უშველის მანამდე სანამ გვამოძრავებს ეგოიზმი და სანამ რაღაც გამორჩენის გულისთვის ყველა ებრძვის ყველას. პირველ რიგში ჩვენ თვითონ უნდა შევიცვალოთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიცვლება სამყარო. ყველაფერი მოდის ჩვენი შინაგანი სამყაროდან, ყველაფერი გამოიკვეთება ჩვენი სულიდან, ფსიქიკიდან ფიზიკური სამყაროსკენ, აი რატომაა აბსოლუტურად ფუნდამენტალური შინაგანი ფსიქოლოგიური ასპექტი. აი რატომ ეწერა ძველ საბერძნეთში დელფოს აპოლონის ტაძრის კართან: „ადამიანო, შეიცან თავი შენი და შენ შეიცნობ სამყაროს და ღმერთებს". მაგრამ დღეს არის ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური, პოლიტიკური კრიზისები, ირგვლივ ინგრევა და ქრება სახელმწიფოები, დახეტიალობენ ომებისგან თუ კლიმატური კატასტროფებისგან გაგიჟებულ ადამიანთა მასები. მარტო 2015- წელს გერმანიაში დაასახლეს ორ მილიონზე მეტი მიგრანტი. არის ტერორიზმიც. ყველაფერი ეს იწვევს შინაგან, სულიერ კრიზისებს. მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებულ და წყვეტილად მიმდინარე დექრისტიანიზაციის პროცესსაც აქვს თავისი შედეგები...

ადამიანებმა, მათ შორის ევროპელებმაც, დაკარგეს მოსვენება და ისინი ეძებენ სულიერების წყაროებს ევროპის გარეთაც...

2017 წლის დასაწყისში გარდაცვალებამდე **ცვეტან ტოდოროვმა** თავის დასმულ კითხვას – რა უნდა გვახსოვდეს მეოცე საუკუნიდან რომელმაც ნახა რომ გულუხვი უტოპიები გადაიქცნენ ყველაზე უარეს ტოტალიტარიზმებად? მან ასეთი პასუხი გასცა — კომუნიზმი იყო დაპირება რომელმაც მოხიბლა მილიონები. ნაციზმმა ვერ მოხიბლა ამდენი. ნაცისტური პროპაგანდა ვერ მოგატყუებს ისე როგორც მოგატყუებს კომუნისტური პროექტი... კომუნისტები ინანიებენ და ანტიკომუნისტები ხდებიან, რითაც ინარჩუნებენ სიმპატიის კაპიტალს და იღებენ ნობელის და იმანუილ კანტის პრემიებს. არ დავივიწყოთ რომ მსოფლიოს უდიდესმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ აშშ-მ, მოსპო ჰიროსიმა და ნაგასაკი 1945 წელს. იაპონიისთვის ატომური ყუმბარების დაშენა გაამართლეს იაპონური მილიტარიზმის ოდიოზური ბუნებით და მეორე მსოფლიო ომის დამთავრების აუცილებლობით, მსხვერპლთა „უსასრულოდ მეტი რაოდენობის" არდაშვების სურვილით. მაგრამ ეს არგუმენტები არაა დამაჯერებელი. შესაძლებელი იყო ომის სხვა საშუალებებით დამთავრება.

ტოდოროვი განმარტავდა, რომ მილოშევიჩის „საზიზღარი" რეჟიმისთვის ბოლოს მოღება და იუგოსლავიის ტერიტორიაზე სამართლებრივი სახელმწიფოს აღდგენა კარგი მიზანი იყო, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად არ იყო საჭირო ამ ქვეყნის კიდევ უფრო დანგრევა, სერბებს და ალბანელებს შორის ისეთი სიძულვილის ჩამოგდება, რომელიც არ ჩაწყნარდება არც ექვსი თაობის შემდეგ. არსებობს საშინელი გამოთქმა "ჰუმანიტარული ომი" სამწუხაროა, რომ ეს გამოთქმა დაწერა ვაცლავ ჰაველის კალამმა კაცისა ვინც ესოდენ აქტიურად უწევდა წინააღმდეგობას ტოტალიტარიზმს. ვაცლავ ჰაველი ლაპარაკობს „ეთიკურ ომზე" და „ჰუმანიტარულ ბომბებზე", ბომბი მუდამ სასტიკი და ულმობელია მიუხედავად იმისა რომ არსებობს სამართლიანი ომები. მე არ ვარ პაციფისტი ამბობდა ტოდოროვი და განმარტავს, რომ ომი რომელიც ცდილობს გენოციდის გაჩერებას გამართლებულია. დღეს ვიცით რომ ასე არ ყოფილა კოსოვოში. ეს ალბათ არის ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი გაკვეთილი, აღარ უნდა გჯეროდეს რომ პროექტი კარგია თუ კი ამ პროექტის განხორციელებამ გამოიწვია ტრაღედიები. უნდა გავიგოთ რომ პროექტში რომელიც გულისხმობს სხვებისთვის სიკეთის დაძალებას ბომბებით და ასე შემდეგ, არის რაღაცა რასაც მოყვება დიდი ბოროტება.

ვიეტნამის დაპყრობისას წვავდნენ და კლავდნენ, მაგრამ ჰანოიმდე მისულმა ბერტმა პირველ რიგში ადამიანის უფლებათა დეკლარაცია დაამაგრა ახლად დანგრეულ სასახლეზე. უნდა უარვყოთ სიკეთის აბსოლუტური განსაზღვრება, სულ მცირე არ უნდა ვენდოთ მას? უბრალოდ სიკეთე არ უნდა გავაიგივოთ სოციალურ პროექტთან. თვითონ საზოგადოება როგორც მთლიანობა არ იქნება სიკეთე. სოციალური უსაფრთხოება, სახელმწიფო, სახელმწიფო ტრანსპორტი, ტელევიზორი კარგია, მაგრამ სიკეთე სხვაა...ინდივიდი კარგია მაგრამ არა ბაზრის, ულტრალიბერალური ეკონომიკის აზრით. ცვეტან ტოდოროვი გახლავთ ავტორი წიგნისა " ბოროტების ხსოვნა, სიკეთით ცდუნება" სადაც კითხვას დარჩება თუ არა მეოცე საუკუნე ისტორიისთვის სტალინის და ჰიტლერის საუკუნედ? ასე პასუხობს-შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ეს მეტისმეტად დიდი პატივი იქნება ტირანებისთვის.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მე რა ვქნა, როგორ მივაწვდინო ჩემს მინისტრს ხმა, პროტესტის ნიშნად დავბოლდე და რუსთაველზე დავდგე?

ეგვენ ლაზეკ

ნარკოდანაშაულთან ბრძოლის განყოფილების მაღალჩინოსანი თანამშრომელი დააკავეს დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შემოტანის ბრალდებით.

სქემა ჰქონდათ შემუშავებული, აგზავნიდნენ წამლის შემოსატანად ადამიანს, მერე ხვდებოდნენ, ყიდნენ, მერე ისევ აგზავნიდნენ.

წამალი ხან პრეზერვატივებით შემოგვქონდა, ხან უკანა ტანითო.

იგივე დღეებში გამოვლინდა – 15 აფთიაქში ფსიქოტროპული წამლების უკანონოდ გაყიდვის ფაქტი და მეტიც, ამ ფაქტზე ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალური სამსახურიში შესულ ზარების რეგირების გარეშე დატოვების გამო – იქაც დააპატიმრეს ჯანდაცვის სამინისტროს კადრი.

ხოდა, ამბობენ, გახარია მაგარია, რა ქნაო.

მე მაშინ ვამბობდი, მაგარი რაღაც გააკეთა-თქო, როცა კლუბ ბასიანში ნარკოტიკის აღმოსაჩენად შევიდა.

ენთუზიაზმი შემეცვალა – როცა ნარკოდეკრიმინალიზაციის მოთხოვნით შეიკრიბნენ ახალგაზრდები და პირობა მისცა – ამ საკითხს განვიხილავო.

მერე გავიდა დრო და მე მტყუანი აღმოვჩნდი, მე, რომელიც ჩემი ქვეყნის შსს მინისტრს უჭერდა მხარს – გავმტყუნდი და ჩემი მკითხველებიც გავაცურე – გამოდის.

არ მრცხვენია, შეცდომის აღიარება, მართლა მეგონა კლუბ ბასიანში ნარკოტიკი – ვინ იფიქრებდა, რომ ამხელა სპეცოპერაცია წინასწარი დაზვერვის გარეშე ჩატარდებოდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ნარკოტიკთან ბრძოლა დეკრიმინალიზაციით დასრულდებოდა.

ვინ იფიქრებდა, რომ მერე მარიხუანის პლანტაციის გაშენებას მოისურვებდნენ, ან არ მოისურვებდნენ, მაგრამ მაინც ასე გვეტყოდნენ.

ყველა მართალი იყო, ვინც ამბობდა და წერდა, რომ ბასიანი რამდენიმე დღეში გაიხსნება ისევ და ეს ფარსი იყო.

ისინი მართლები იყვნენ და მე ვიყავი მტყუანი, მე – ფხიზელი და არადაბოლილი, ფხიზელი და არანარკოტიკმომხმარებელი.

ახლა არ მჯერა, არ მჯერა, რომ მხოლოდ ერთი თანამშრომელია გარეული ნარკობიზნესში.

არ მჯერა, რომ გულწრფელად ელოდნენ ბასიანში ნარკოტიკს.

დავიჯერო, ასე რთულია, რამდენიმე აგენტი მიუჩინო ქალაქს გადაცმულნი – იარონ ხოლმე ქალაქის კლუბებში საღამოობით – ზუსტად რომ ვიცოდეთ, სად იყიდება ნარკოტიკი – რომლის გამოც, რეამინაციებში მომაკვდავი ახალგაზრდების რიგი დგას.

წლობით ყიდის ნარკოტიკს ის, ჩვენი შვილების ნარკოსიფხიზლეს უნდა დარაჯობდეს და ჩვენ რატომ ვეძებთ ბარიგებს გარეთ და ყასიდად?

აი, არაერთხელ დავწერე, რომ ზუსტად ჩემი სახლის წინ ფსიქოტროპულ აფთიაქში არასრულწლოვნებზე ყიდიან ფსიქოტროპულ წამლებს, იგივე აფთიაქში ფარმაცევტის მოკვლა სცადეს, დანით ყელი გამოჭრეს და საბედნიეროდ გადარჩა. კი, თავდამსხმელი დაიჭირეს, მაგრამ არ დაუწყია მოკვლევა აფთიაქის საქმიანობის შსს-ს, მაშინაც არ დაუწყია.

ერთხელ პატრულმა გააჩერა იგივე აფთიაქთან არაფზიზელი ახალგაზრდა, აფთიაქარმა ეგრევე ფანჯარა გადაკეტა, თითქოს, 24 საათიანი აფთიაქი საღამოს უკვე იკეტებოდეს, მცირე კამათის შემდეგ – პატრულმა ახალგაზრდას უთხრა: – გაგიმართლა, კარგ ხასიათზე ვართ, გიშვებთო.

მე შემხვდა მაინც და მაინც ცუდ ხასიათზე პატრული.

ასე ხასიათ-ხასიათ ირყვნება კანონი.

ასე ხასიათ-ხასიათ ვსხდებით ნარკოტიკზე.

როგორ უნდა გაუბედოს აფთიაქმა ცხვირწინ კარის მიხურვა სამართალდამცველს – მაგრამ, პატრონი ეყოლებოდა და მისცა თავს უფლება.

15 აფთიაქის გარდა, არავინ ყიდის ფსიქოტროპულ წამლებს რეცეპტის გარეშე?

ჩატარდა მოკვლევა?

ქვეყნის ორი სამინისტროს წარმომადგენელია დაკავებული ნარკოტიკის გაყიდვის და სამსახურეობრივი გულგრილობის ფაქტზე და 15 აფთიაქია გამოვლენილი, როგორც გვეუბნებით, თხუთმეტივე ცხელ ხაზზე შემოსული ზარების მეშვეობით.

ხოდა, დანარჩენ აფთიაქებში რა მდგომარეობაა, გრძელდება, ალბათ, მოკვლევა, ხო? დანარჩენ აფთიაქებში რა ხდება, იმ აფთიაქებში, საიდანაც არ დაურეკავთ, ხომ უნდა ვიცოდეთ, ასეთი საგანგაშო ფაქტების მერე?

ამას წინათ თავი ამტკივდა, გამაყუჩებლისთვის ფსიქოტროპულში შევედი, ყველაზე ახლოს ის იყო, სამი კლიენტი იყო ჩემამდე, ყველა გაჩუმდა, მე გამატარეს უსიტყვოდ, ფარმაცევტიც მე მომემსახურა ეგრევე, ისე გამოვედი, ხმა არ გაუღიათ. შეგრძნება მქონდა, იატაქქვეშა ორგანიზაციას მივაგენი. ცნობენ ეგენი ერთმანეთს, მომხმარებლებს ცნობენ და თუ მცირედი აზრი მაინც მოეკითხებათ, უცხოს თანდასწრებით არ ყიდულობენ, მაგრამ ვიდეოკამერებია ყველა აფთიაქში და ამოიღეთ ჩანაწერები, მოკვლევაც და აგენტების მიგზავნაც არ დაგჭირდებათ.

ქვეყნის ორი სამინისტროს თანამშრომელი დაიჭირეს ნარკოტიკის გაყიდვის და ხელის დაფარების ფაქტზე – ახლა, ამ წამს, ქვეყნის ორი სამინისტრო უნდა იდგეს ფეხზე, გადამოწმება უნდა მიდიოდეს მინიმუმ ყველა იმ ადამიანის, რომლებსაც ამ სამმართველოებთან ჰქონდათ შეხება, იქნებ კიდევ სხვებიც ყიდიან ნარკოტიკს, იქნებ, კიდევ სხვებიც აფარებენ ხელს.

მე რა ვქნა, როგორ ვენდო ჩემს მინისტრებს და სამინისტროებს?

მე რა ვქნა, მე რომელსაც კარგ ხასიათზე მყოფი პატრული წლებია აღარ შემხვედრია)

მე რა ვქნა, როგორ მივაწვდინო ჩემს მინისტრს ხმა, პროტესტის ნიშნად დავბოლდე და რუსთაველზე დავდგე?

მე რა ვქნა, სად გადავმალო შვილი, რომ ნარკოტიკი არავინ მიაჩეჩოს, არავინ აიძულოს, ნარკოტიკთან შეხება.

არ მითხრათ, რომ ვერ აიძულებენ, არავის დაჰყოლია მუცლიდან ნარკოტიკების სიყვარული.

რა ვიცი, დიდხანს ვიფიქრე და მაინც ვერ მივხვდი, რა აქვს საამაყო მინისტრს, რომლის ერთ-ერთი სამმართველოს მაღალჩინოსანი ბარიგაა.

იქნებ, იქნებ ბასიანში მართლა რომ ეპოვნა დაპირებული ნარკოტიკი...

იქნებ, იმ მკვლელი ნარკოტიკის შემომტანი რომ ეპოვნა...

არც ახლაა, იქნებ მთლად გვიანი.

თუ ბარიგების მფარველებს და ზებარიგებს გამოავლენს.

თუ მკვლელ ბარიგებს იპოვნის.

თუ პასუხისმგებელ პირებს დაგვისახელებს, თანამშრომლებზე პასუხისმგებელ პირებს.

თუ ყველა აფთიაქი გადამოწმდება.

თუ პატრული ხასიათით კი არა, კანონით იმოქმედებს.

თუ დაცული ვიქნები ჩემს ქვეყანაში.

თუ იმაზე ფიქრი არ მომიწევს, სად გადავმალო შვილი...

555 46 08 04

სხვადასხვა ქვეყნების ვალუტა გუშინ, დღეს და...

ფული არა მარტო ნებისმიერი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს ეკონომიკის საფუძველია. გადახდის ამ საშუალებასთან გაჩენის დღიდან ბევრი საინტერესო ფაქტია დაკავშირებული.

თანამედროვე ადამიანი მიეჩვია იმას, რომ ფული ქაღალდისა და მეტალისგან არის დამზადებული. თუმცა, გადახდის ამ ინსტრუმენტმა საუკუნეების სიღრმიდან დღემდე ბევრჯერ განიცადა სახეცვლილება.

ასე, მაგალითად, ბირმაში ფულის მაგივრობას თავის დროზე დაპრესილი ჩაი და მარილი სწევდა, ჩინეთში — აბრეშუმის ქსოვილი, მექსიკაში კი — ყავის მარცვლები.

დიდი ხნის განმავლობაში ბევრ ქვეყანაში მონეტებსა და კუპიურებს ცვლიდა თამბაქო, სიმინდისა და ბრინჯის მარცვლები და გამხმარი თევზი.

პირველი ფული ლიბიაში გაჩნდა ჩვენს ერამდე მეშვიდე საუკუნეში. ეს იყო მონეტები, რომლებიც დამზადებული იყო ვერცხლისა და ოქროს ნარევისგან.

ერთ-ერთი საინტერესო ფაქტია ფულის დასამზადებლად ტყავის გამოყენება. ეს არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მოხდა: ალასკაზე რუსულ-ამერიკულ კომპანიაში დაფიქსირდა ტყავის ფულის ვარიანტები, რომლებიც 1816, 1826 და 1834 წლებშია გამოშვებული.

მაგრამ არც დღეს ამზადებენ ფულს მხოლოდ მეტალისა და ქაღალდისგან.

ავსტრალიაში, მალაიზიაში, ბრაზილიაში, ტაილანდში, ბრუნეიში, ახალ ზელანდიაში, რუმინეთში, დასავლეთ სამოასა და პაპუა-ახალ გვინეაში ფულის დასამზადებლად პოლიმერულ პლასტიკს იყენებენ.

თავიდან ამგვარი ეკზემპლარები სამახსოვროდ, რაიმე ღირსშესანიშნაობასთან დაკავშირებით მზადდებოდა. მაგალითად, 1988 წელს ასე გაჩნდა ასეთი კუპიურა ავსტრალიაში პირველი ბრიტანული კოლონიის დაარსებიდან 200 წლის აღსანიშნავად.

1999 წელს უკვე რუმინეთმა გამოუშვა ასეთი ფული ნომინალით 2000 ლეი, რაც იმავე წლის მზის დაბნელებას მიეძღვნა. ბანტკნოტზე გამოსახული იყო რუმინეთის გეოგრაფიული რუკა და აღნიშნული იყო ადგილები, სადაც მზის დაბნელება ყველაზე უკეთ ჩანდა.

ქაღალდების ბანკნოტები პირველად ჩინეთში გაჩნდა ჯერ კიდევ ახალ ერამდე. მაშინ ქვეყანაში სპილენძის დიდი დეფიციტი იყო და მონეტებს ვეღარ აშზადებდნენ. ამიტომ ბრძენმა ჩინელებმა ფულის ახალი სახეობა გამოიგონეს — ქაღალდის ნაჭერი ლამაზი ნახატით. ისინი მხოლოდ დასაფლავების ცერემონიის დროს გამოიყენებოდა: გარდაცვლილის საფლავთან გაჩაღებულ კოცონზე წვავდნენ ფულს და იმედოვნებდნენ, რომ ეს ფული გარდაცვლილს მიღმიერ სამყაროში ცხოვრებას გაუადვილებდა. ყოველდღიურ ცხოვრებაში კუპიურები უკვე მოგვიანებით დამკვიდრდა.

კანადის ტერიტორიაზე პირველ ბანკნოტებად ჩვეულებრივი ბანქოს ქაღალდი გამოიყენებოდა. ახალი საფრანგეთის ჩრდილოეთ ტერიტორიის ადმინისტრაციამ 1685 წელს მოსამსახურეებსა და მოხელეებს ფულის უქონლობის გამო ხელფასები ვერ გადაუხადა. ინტენდანტმა გამოსავალი მოძებნა: ბანქოს ქაღალდი სხვადასხვანაირად დაჭრა და მათზე ფულის რაოდენობა მიუთითა. ძველი სამყაროდან კანადაში ხომალდების ჩამოსვლის შემდეგ ეს „კუპიურები“ მათ ნამდვილ ფულზე გადაუცვალეს. პრობლემის გადაჭრის ამგვარ ხერხს მე-18 ს-ის პირველ ნახევარში კიდევ რამდენჯერმე მიმართეს.

აშშ-ში პირველი ქაღალდის ფული 1861 წელს გამოჩნდა. ამის მიზეზი, ისევე, როგორც კანადაში, მონეტების ნაკლებობა გახდა.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ბანკნოტი 500-ევროიანი კუპიურაა, ამიტომაც ამ ეკზემპლარის გამოშვება ორჯერ გაზარდეს. მაგრამ ევრო, მსოფლიოს ყველაზე ყველაზე ახალგაზრდა ვალუტა, სულაც არ არის გადახდის ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტი.

ფრანკი, როგორც ნაციონალური ვალუტა, მსოფლიოს 34 ქვეყანაში გამოიყენება.

აშშ-ის დოლარიც უნიკალურად ითვლება. ამ სახელს ატარებს მზოფლიოს 27 ქვეყნის ვალუტა.

დოლარი ასევე ყველაზე კონსერვატიული ვალუტაა, მისი დიზაინი ხომ გასული საუკუნის დასაწყისიდან არ შეცვლილა. ამ ვალუტის ყველა კუპიურას ერთი ზომა აქვს და განსხვავება მხოლოდ ნომინალის დასახელებასა და პრეზიდენტების პორტრეტებშია. ამასთან, დოლარს ყველაზე ხშირად აყალბებენ. ამის მიზეზი ან ის არის, რომ ცუდად არის დაცული, ან ის, რომ კრიმინალურ სამყაროში ძალზე პოპულარულია...

ფულადი ერთეულების დასახელება ბევრ ქვეყანაში წონის ერთეულთან არის დაკავშირებული. ამის მაგალითია გირვანქა სტერლინგი ინგლისში. სტერლინგი ვერცხლის მონეტას ერქვა, რომლის 240 ცალი ზუსტად ერთ გირვანქას იწონიდა.

ასეთივე წარმომავლობა აქვს იტალიურ ლირას, რომელიც გირვანქის ეკვივალენტია.

შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში ვერცხლის ასაწონად მარკას იყენებდნენ, რომელიც გირვანქაზე ოდნავ მსუბუქია. სწორედ აქედან მოდის დასახელება დოიჩმარკა.

XXI საუკუნეში ფართოდ გავრცელდა ვირტუალური ფული. მსოფლიო ინტერნეტქსელის გაფართოებასთან ერთად მათი რაოდენობა მატულობს და დროთა განმავლობაში განდევნის ქაღალდისა და ლითონის ფულს...

გარდა ამისა, არსებობს სათამაშო ვალუტა ტერა. ეს არის ნივთი, რომლით ვაჭრობა თამაშის გარეთაც შეიძლება. ეს საშუალებაა, რომელიც რეალურად მუშაობს და მოუთმენელ მოთამაშეებზეა გათვლილი. მათ შეუძლიათ გამოტოვონ გმირის განვითარების რამდენიმე ეტაპი, საკმარისია, მხოლოდ შეიძინონ ტერას ოქრო და გადაცვალონ სხვა ნივთებსა და პრივილეგიებზე თამაშის შიგნით, მძიმე ფარმის გარეშე...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

- როგორ ხდება ვადების გამოთვლა სამოქალაქო სამართალში?

- საინტერესო შეკითხვაა. ხშირად შემოდის ეს შეკითხვა რედაქციაში. თემა აქტუალურია, რადგან ბევრმა არ იცის ვადების საკითხი და უშვებს სერიოზულ სამართლებრივ შეცდომებს. ეს რომ არ მოხდეს, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ქვემოთ მითითებულს:

- მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო

თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.

მუხლი 123. ვადის დამთავრება

1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით - წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, - მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს.

3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

მუხლი 124. ცნებები

1. ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას, კვარტალი - სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე - თხუთმეტდღიან ვადას.

2. თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.

მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას

ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.

მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით

1. თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი სამას სამოცდახუთით.

2. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ - თვის მეთხუთმეტე დღე, ხოლო თვის დასასრულად - თვის ბოლო დღე.

მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

* * *

- რამდენიმე წლის წინ განვქორწინდი მეუღლესთან. ის ნებაყოფლობით იხდის ჩვენი ორი მცირეწლოვანი შვილის მიმართ საალიმენტო გადასახადს. მიუხედავად ამისა, მაქვს თუ არა უფლება, თავის დაზღვევის მიზნით, მოვითხოვო ალიმენტის გადახდა სასამართლო წესით?

- სასიამოვნოა, თუ თქვენი ყოფილი მეუღლე თავს არ არიდებს მამის მოვალეობას და ნებაყოფლობით იხდის შვილის მიმარ საალიმენტო გადასახადს.

თქვენს შეკითხვასთან დაკავშირებით, განგიმარტავთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1232-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის წესი არ გამორიცხავს ალიმენტის მიმღების უფლებას, ნებისმიერ დროს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

* * *

- ჩემი ქალიშვილი იყო დანიშნული. საქმრომ ჩაშალა ნიშნობა. შეგვიძლია თუ არა, შევიტანოთ სასამართლოში სარჩელი და მოვითხოვოთ დაქორწინება?

- არა, არ შეგიძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

* * *

- რომელი ქონება ითვლება მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად?

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად ითვლება:

ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983